პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეოთხე:

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და ტფ. საბ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ-
ჭოს ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24,
ტელეფონი 10—49.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. ხელის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

Коллекция [illegible]

დღიური

— პოლონეთის ახალმა მთავრობამ მოსთხოვა სეიმს (პარლამენტს) მთავრობისათვის საგანგებო უფლებების მინიჭება.

— ინგლისის მთავრობამ ავღანისტანს გაუგზავნა ულტიმატუმი, რომელშიაც მოითხოვს საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის გაწყვეტას.

— მთელი მექსიკა აჯანყებულთა ხელშია; მათ მოეპოვება 40 ათასი კარგად შეიარაღებული ჯარი.

— ბულგარეთის მთავრობამ დაატუსალა პარლამენტში ახლად არჩეული კომუნისტი მაქსიმოვი.

№ 296 კვირა, 23 დეკემბერი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 296

დღევანდელი ნომერი შეიცავს 6 გვერდს.

საბჭოთა კავშირი და ამერიკა

ევროპის და ამერიკის ბურჟუაზიული მთავრობები საბჭოთა რუსეთის ცნობის წინასწარ პირობათ, სხვათა შორის, ღიარებდენ მისი ეკონომიურ-პოლიტიკური მდგომარეობის ახლო გაცნობას განსაკუთრებული კომისიების და რწმუნებულების საშუალებით. უკანასკნელ წლებში საბჭოთა რესპუბლიკებში მართლაც აუარებელი საზღვარგარეთელი კომისიები და რწმუნებულები მოგზაურობდენ, რომლებიც უშუალოდ ეცნობოდნენ ჩვენი ხელისუფლების ფაქტიურ მუშაობას და მშრომელთა შემოქმედებითი უნარიანობას.

საბჭოთა ქვეყნების ნამდვილ მდგომარეობასთან ახლო გაცნობის შემდეგ თითქმის ყველა რწმუნდებოდა საბჭოთა მთავრობის ძლიერებაში და ამ ქვეყნების ბრწყინვალე მომავლის აუცილებლობაში. მიუხედავათ ამისა, ამ ქვეყნების ბურჟუაზიული მთავრობები ჯერ კიდევ ვერ ბედავენ საბჭოთა რუსეთთან ნორმალურ ურთიერთობის დამყარებას, მის იურიდიულათ ცნობას. იმავე დროს ყოველი მათგანი სცდილობს საბჭოთა რესპუბლიკების უზარმაზარი ტერიტორიის და მრავალმილიონიან მცხოვრებთა ბაზრის ხელიდან არ გაშვებას. ფაშისტთა ბელადი, იტალიის პრემიერი მუსოლინი ამ მხრივ უფრო რეალურ საფუძველზე აყენებს საკითხს, თუ მის მიერ ამას წინად წარმოთქმულ სიტყვას დავუჯერებთ, ის მომხრეა საბჭოთა ქვეყნებთან ნორმალურ ურთიერთობის დამყარების. პოლონეთი თავის იარაღის ხანგრძლივათ ჟღარუნის შემდეგ იძულებული გახდა უკანასკნელ დღეებში ეცნო საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი.

ამ დღეებში საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი დასმული იყო ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების მინისტრთა კაბინეტშიც. ამ ქვეყნიდან მთელი რიგი სენატორებისა და სახელმწიფო მოღვაწეების მოგზაურობდა რუსეთში და გაეცნენ საბჭოთა ქვეყნების ეკონომიურ-პოლიტიკურ მდგომარეობას, რის შემდეგ ისინი ენერგიულად მოითხოვდენ საბჭოთა კავშირთან ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას. ამერიკის საზოგადოებრივი აზრი და პრესაც დაჟინებით მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ცნობას. თვით ამერიკის პრეზიდენტმა კულიჯმაც განაცხადა, რომ იგი თანახმაა მოლაპარაკების გამართვაზე.

მაგრამ კაბინეტის სხდომის შემდეგ გამოირკვა, რომ დაუყოვნებლივ მოლაპარაკების დაწყების მოწინააღმდეგეებმა გაიმარჯვეს. საგარეო საქმეთა მინისტრმა იუზმა განაცხადა და გაიმეორა ის, რაც არა ერთხელ თქმულა საბჭოთა რუსეთის ცნობის მოწინააღმდეგეთა მიერ. ის აცხადებს, რომ მოლაპარაკების დაწყება ეხლა შეუძლებელია, რადგანაც ამერიკის მთავრობას არ სურს უარყოფა თავის პრინციპებისა, რომლის თანახმად ის მოითხოვს დაუბრუნოს საბჭოთა მთავრობამ „ამერიკელ მოქალაქეებს კონფისკაციით ჩამორთმეული ქონება, ან მისცეს მათ შესაფერი კომპენსაცია და იცნოს რუსეთის ვალები“.

ამ განცხადების საფუძველი უნდა ვეძებოთ, რასაკვირველია, ამერიკის ბურჟუაზიულ-ფინანსიური წრეების ინტერესთა წინააღმდეგობაში. საქმე იმაშია, რომ საბჭოთა რუსეთი ამერიკის კონკურენტად გამოდის პურის ბაზარზე და ამერიკის მსხვილ ფერმერებისთვის მეტად არასასურველია ამ კონკურენტის გაძლიერება. ამიტომაც ისინი კამპანიას აწარმოებენ საბჭოთა კავშირის ცნობის წინააღმდეგ, ვინაიდან ეს ცნობა ეკონომიურად მეტად გააძლიერებდა საბჭოთა რესპუბლიკებს, მეტ გასაქანს მისცემს მას საერთაშორისო ბაზარზე.

მაგრამ მეორე მხრივ ამერიკის საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობას, ინდუსტრიას ეჭირვება ბაზარი და ამ მხრივ საუკეთესოდ არის ცნობილი საბჭოთა კავშირის უზარმაზარი ტერიტორია. ინდუსტრიალური ბურჟუაზიაც მიისწრაფვის თავის ნაწარმოებთა ამ ბაზარზე გამოტანას, მის გახსნას, რომელიც შეუძლებელია საბჭოთა რუსეთის ცნობის გარეშე. ეს ბურჟუაზიაც თავის ინტერესების მიხედვით აწარმოებს კამპანიას საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოთ.

იუზის ზევით მოყვანილი განცხადებით საბჭოთა კავშირის ცნობის მომხრეები ამერიკაში მეტად უკმაყოფილო დარჩენ. კამათი სენატში გადავიდა, სადაც იუზმა ყალბი დოკუმენტები წარადგინა, ვითომც კომინტერნი ამერიკის მთავრობის დამხობას მოითხოვს ამერიკის მუშათა პარტიისაგან. თვით სენატორებს იჭვი [illegible] დოკუმენტების სისწორეში და, როგორც ამხ. ჩიჩერინის განცხადებიდან სჩანს, ეს დოკუმენტები მართლაც ყალბი არიან და ტყუილათ სცდილობს იუზი თავის პოზიციის დაცვას ამ ცრუთ შეთითხნილ დოკუმენტით.

ეს ჩვეულებრივი ხრიკია საბჭოთა კავშირის მოწინააღმდეგეებისა და მით ფონს გასვლა ყოველთვის არ შეიძლება. კამათი ამერიკის სენატში საბჭოთა რუსეთის კავშირის შესახებ გაგრძელდება საშობო დღესასწაულების შემდეგ. ვნახოთ რით დათავდება ის.

ერთი რამ ეხლავე ცხადია: ყალბ დოკუმენტებს და თეთრგვარდიელთა პროვოკაციას ყოველთვის არ ექნება გასავალი. როგორც ამერიკა, ისე სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოები იძულებული გახდებიან ანგარიში გაუწიონ სინამდვილეს და ნორმალური ურთიერთობა აღადგინონ მშრომელთა ძლიერ სახელმწიფოსთან.

საბჭოთა ხელისუფლება და „მაკრატლის“ პრობლემა

საბჭოთა ხელისუფლება „მაკრატლის“ პრობლემის გადაწყვეტას აქცევს უდიდეს ყურადღებას. ის იღებს მთელ რიგ ღონისძიებებს თანამედროვე კრიზისთან საბრძოლველათ, მის გასანელებლათ და მოსასპობათ. მაგრამ როგორ უნდა ვებრძოლოთ კრიზისს საბჭოთა ხელისუფლების დროს?

ბაზრის და კრიზისის პრობლემას ყოველთვის უდიდესი ადგილი ეჭირა როგორც პრაქტიკულ, ისე თეორეტიულ-პოლიტიკურ ეკონომიაში. აქ ჩვენ გვაქვს მთელი რიგი თეორიები. თვით მარქსისტებშიც არ არის ერთი აზრი ამ პრობლემის გადაწყვეტაში (მოიგონეთ როზა ლიუქსემბურგის თეორია). თუ ასეთია მდგომარეობა კაპიტალისტური კრიზისების გარშემო, რაღა უნდა ითქვას დღევანდელ კრიზისზე, ახალი ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში, რომელიც პოლიტიკურ ეკონომიისათვის სულ ახალ და შეუსწავლელ პრობლემას წარმოადგენს.

შეიძლება ზოგიერთებმა იგივეობის ბეჭედი დაასვან ორივე სახის კრიზისს: კაპიტალიზმის და საბჭოთა ხელისუფლების ეპოქაში ეს დიდი შეცდომა იქნება. ამ ორ კრიზისს შორის პრინციპიალური განსხვავებაა და როგორც ასეთი, უნდა იქნას განხილული სულ სხვადასხვა თვალსაზრისით.

ჩვენ ვიცით, რომ კაპიტალისტური საზოგადოება წარმოადგენს სახელმწიფოს bellum omnium contra omnes (ბრძოლა ყველასი ყველას წინააღმდეგ), სახელმწიფოს—ეკონომიური ანარქიის და კონკურენციისას. ამ საზოგადოებაში წარმოების რეგულიატორი არის **მოგების ნორმა, ბოლოს და ბოლოს კი ღირებულების კანონი**. მოგება—ეს მთავარი პრინციპია კაპიტალისტისა, მისი არსებობის აზრი, მისი ცხოვრების ალფა და ომეგა. მოგების გულისათვის კაპიტალი წავა ინდოეთში, ჩინეთში, სახარის უდაბნოში, შემოირბენს მთელ ქვეყნიერებას.

ამ თავის პრინციპს კაპიტალი არ ღალატობს მაშინაც კი, როდესაც მას სტიქიურად თავს ატყდება კრიზისი. კრიზისი სცემს მისი მოგების ნორმას, ამიტომ ისიც სტოვებს ნაკლებ მოგებიან წარმოების დარგს და მიისწრაფვის უფრო მომგებიანისაკენ. ეს კაპიტალის ემიგრაცია და იმიგრაციაა. სარჩული კი ამას უდევს ზემოთმოხსენებული მოგების ნორმა. კრიზისის დროს კაპიტალისტურ საზოგადოებაში იკუმშება წარმოება, იხურება მთელი რიგი ფაბრიკა-ქარხნები და იზრდება უმუშევართა არმია.

როგორ არის საქმე საბჭოთა ხელისუფლების დროს? ზერელედ მოაზროვნე ადამიანი მხოლოდ მსგავსებას ხედავს კაპიტალისტურ კრიზისთან, მას გარეგან მხარეს, ზედაპირს. მიუხედავად ამისა, ჩვენს პირობებში წარმოშობილი კრიზისი დიდათ განსხვავდება ამ კაპიტ. კრიზისისაგან. აქ მხოლოდ სახელია ერთნაირი. დავიწყოთ ძირითადიდან, ჩვენს მრეწველობას (განსაკუთრებით მსხვილს), რომელიც სახელმწიფოს ხელშია, სრულიად არ ამოძრავებს მოგება ჩვენი წარმოება მოგებისათვის კი არ არის, არამედ მომხმარებლისათვის ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ წარმოების გაფართოებისათვის ჩვენ არ შევქმნათ ფონდი და მასზე არ ვიზრუნოთ. მაგრამ მე ვამბობ: აქ პრინციპიალური განსხვავებაა. ჩვენს წინაშე არის, ერთის მხრივ, **კაპიტალისტური მეურნეობა**, მხოლოდ მოგებით დაინტერესებული, და, მეორესმხრივ, საბჭოთა **სოციალისტური მეურნეობა**, რომელიც მოგებით დაინტერესებულია მხოლოდ იმდენად, რამდენად ამას მოითხოვს თვით წარმოების გაფართოების ინტერესი; უმთავრესად კი ამ უკანასკნელის მიზანია მომხმარებლის მოთხოვნილების დაკმაყოფილება და ამისთვის თვითღირებულების თანდათანი შემცირება.

ამას ჩვენ კონკრეტიული ფაქტები გვიჩვენებს. თუ კაპიტალისტური კრიზისის დროს იხურება მთელი რიგი ფაბრიკა-ქარხნები და მცირდება წარმოება, ამას ჩვენ თანამედროვე კრიზისის დროს ვერ ვამჩნევთ. წარმოება არა თუ მცირდება, არამედ კიდევ იზრდება. ავალაპარაკოთ ცოცხალი ფაქტები. **ნახშირის** წარმოებამ გასული წლის ოქტომბერში მოგვცა 39 მილ. ფუთი ნახშირი,—მიმდინარე წლის აგვისტოში—53 მილ., სექტემბერში—67 მილ, ოქტომბერში კი—78 მილ. **ნავთის** მეურნეობამ მოგვცა ამ წლის აგვისტოში და სექტემბერში—28 მილ. ფუთი, ოქტომბერში კი—29 მილ. **მეტალურგიას** ეჩნევა დიდი პროგრესი. გასულს წლის ოქტომბერში დამზადებულ იქნა 987 ათასი ფუთი **თუჯი**. 1923 წ. აგვისტოში—1.701 ათასი, სექტემბერში—2.094 ათასი და ოქტომბერში—2.553 ათასი. ერთი წლის განმავლობაში თუჯის წარმოება **სამჯერ** გაზრდილა. **ბამბეულობის** დარგში ნართავის დამზადებამ ოქტომბერში (1922 წ.) მოგვცა 370 ათასი ფუთი, 1923 წ. ოქტომბერმა კი—507 ათასი ფუთი. წარსულ წელთან შედარებით ეს წარმოება გაზრდილა 37 პროც., ხოლო მიმდინარე წლის აგვისტოსთან შედარებით კი—65 პროც.

ეს ციფრები ნათლად ღაღადებენ იმას, რომ ჩვენი მრეწველობა, [illegible] კი არ ეცემა, არამედ კიდევ **უფრო იზრდება და მაგრდება**. ეს გაზრდა ჩვენ მოგვცა უკანასკნელ თვეებმაც, როდესაც „მაკრატლის“ წვერები ერთმანეთს უაღრესათ დაშორდენ.

მაგრამ შეიძლება იფიქრონ, რომ მუშის ხელფასი დაეცა ამ კრიზისის გამო. ეს მართალი არ არის. ის თავის დონეზე დარჩა, ხოლო მოსკოვში კი გაიზარდა 11 პროც. და პეტროგრადშიც 16 პროც.

შეიძლება ზოგიერთებს კიდევაც გაუკვირდეს, თუ რათ დამჭირდა მე ამ ორი კრიზისის შედარება და ამ ციფრების მოყვანა. ნამდვილად კი ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მეურნეობის შესწავლაში, მისი ზოგიერთი მხარეების უფრო ნათლათ გამორკვევაში. ამას აქვს უდიდესი მნიშვნელობა იმ გზების და ღონისძიებების გამონახვაში, რომლითაც უნდა ვებრძოლოთ ჩვენ თანამედროვე კრიზისს. ეხლა დავსვათ სწორეთ ეს საკითხი: როგორ უნდა ვებრძოლოთ ჩვენ, საბჭოთა ხელისუფლება და კომპარტია ფასების ზრდას და მდგომარების გამწვავებას.

ჩვენ **კატეგორიულათ** უარვყავით კრიზისიდან გამოსვლის კაპიტალისტური მეთოდები (წარმოების შეჩერება, მუშების ქუჩებში გამოყრა, ხელფასის დაკლება და სხვ.) უმუშევართა რიცხვი 1923 წ. 1 სექტემბერს იყო—510 ათასი კაცი, პირველ ოქტომბერს კი—534 კაცი (მომატება 24 ათასი). ეს კი—უმუშევართა რიცხვის გაათასკეცება, რასაც ადგილი აქვს კაპიტალისტური კრიზისის დროს, არ არის.

წინა წერილებში ჩვენ აღვნიშნეთ „მაკრატლის“ მიზეზები. ეხლა დავყვეთ და ვიკითხოთ: რა კეთდება საბჭოთა ხელისუფლების მიერ ყველა ამ მიზეზების აღმოსაფხვრელათ? პირველ მიზეზათ ჩვენ დავსახეთ მრეწველობის და მიწათმოქმედების შეუთანაბრობა. მათი შეთანაბრება, თუ საკითხს რუსეთის მასშტაბით დავსვამდით, ვერ მიგვიყვანდა მის გადაწყვეტამდის. ჩვენ ვთქვით, რომ რუსეთის პური უწინ საზღვარგარეთ იზიდებოდა. რომ ის შინაურ ბაზარზე გასაღდეს, ამისათვის საჭიროა ჩვენი ქვეყნის—ინდუსტრიალურ ქვეყნად გადაქცევა. ეს კი ადვილი და პატარა ხნის საქმე არ არის. მაშ როგორ უნდა შევქმნათ ნორმალური პირობები სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის? ამისათვის საჭიროა რუსეთის პურს მოვუპოვოთ **საგარეო ბაზარი**, გავიტანოთ ის საზღვარგარეთ გასასყიდათ. ამით ჩვენ შევაჩერებთ სასოფლო მეურნეობის პროდუქტების ფასების დაცემას. საბჭოთა ხელისუფლებამ ამას დიდი ყურადღება მიაქცია თავიდანვე. პურის ექსპორტი თანდათან მატულობს და ამას შესაფერი ცვლილება შეაქვს ჩვენს მეურნეობაში. თუ ამ მხრივ რაიმე დაბრკოლება დარჩა, მაშინ კრიზისი მიიღებს უფრო ხანგრძლივ ხასიათს და საჭირო შეიქნება მიწათმოქმედებიდან სხვა კულტურაზე გადასვლა, შრომის სარგებლიანობის მიხედვით.

ქ. ორაგველიძე.

ტფილისის ორგანიზაციის საქალაქო კრება

ტფილისის ორგანიზაციის საქალაქო კრებამ ერთხმად დაჰგმო ფრაქციების და ჯგუფების არსებობა პარტიაში და გადასწყვიტა გაატაროს შინაპარტიული დემოკრატია რუსეთის კომპარტიის ცეკას ხელმძღვანელობით.

პარტიული მთლიანობის გრანდიოზული დემონსტრაცია

(შთაბეჭდილებანი)

ეს იყო უდიდესი ტრიუმფი პარტიული მთლიანობის... მაგრამ ამაზე ქვემოთ...

დისკუსიამ პარტიის თანამედროვე ამოცანების შესახებ აამოძრავა ჩვენი ტფილისის ორგანიზაციაც. მთელ რიგ რაიონულ და იაჩეიკების კრებებზე ირჩეოდა კითხვები, რომლებიც იპყრობდნენ [illegible] მთელი პარტიის ყურადღებას.

ტფილისის ორგანიზაციის საერთო საქალაქო კრებასაც, რომელსაც უნდა გაეკეთებინა ჯამი ამ საკითხში ჩატარებული კამათის, ბუნებრივი მოუთმენლობითა და უაღრესი ინტერესით მოელოდა პარტიის წევრთა ფართო მასა.

დანიშნულ დროზე, ხუთის ნახევარზე, სახელმწიფო ოპერის დარბაზს მიაწყდა აუარებელი ამხანაგები. საათის ხუთზე მთელი თეატრი და კულუარები გაჭედილია ხალხით.

ტევა აღარ არის.

თავისუფალი ადგილი მოსჩანს კიდევ თეატრის სცენაზე, პრეზიდიუმის თითქოს ხელუხლებელ „ტერიტორიაზე“. მაგრამ ამ „შეუვალობასაც“ მალე ბოლო ეღება.

უადგილო ამხანაგები „შტურმით“ იღებენ ამ „პოზიციასაც“.

მოუთმენლად ელიან მომხსენებელს.

პრეზიდიუმის მაგიდასთან შემომსხდარნი არიან ამხ. ორჯონიკიძე, კახიანი, ელიავა, მიასნიკოვი, ლომინაძე და სხვ.

თავმჯდომარეობს ამხ. კახიანი.

ზარის წკრიალი.

სიტყვა მოხსენებისთვის ეძლევა ამხ. მიასნიკოვს. ტაში.

მთელი თეატრი სმენათ არის გადაქცეული.

მისთვის დამახასიათებელი დამშვიდებით მიმდინარეობს ამხ. მიასნიკოვის გაზომილი, [illegible] არ აქვს [illegible] „სიტყვიერება“, როგორც ეს სჩვევიათ ზოგიერთებს. შინაარსია უაღრესათ საქმიანი. თანდათანობით, აუარებელი ფაქტიური მასალით, აუდიტორიის წინაშე იშლება სრული სურათი პარტიის მდიდარი წარსულის და აწმყოს ამოცანების.

თავის მასიური წევრების თვითმოქმედებაზე, მათ ინიციატივაზე დაყრდნობილი მთლიანი პარტია, შედუღებული რევოლიუციონური, დემოკრატიული დისციპლინით

თუ დაკანონებულ ორგანიზაციულათ ჩამოყალიბებულ ფრაქციათა ბრძოლა—აი საკითხი რამდენიმეჯერ გადაწყვეტილი პარტყრილობების მიერ, მაგრამ კიდევ და კიდევ „გამოგორებული“ არა ერთხელ დამარცხებული სხვა და სხვა ჯურის ოპოზიციონერების მიერ.

ან ერთი ან მეორე.

თავისუფლება აზრთა გამოთქმის, მაგრამ არა „გულის წასვლამდე“ და არა მუდამ, რადგან პარტია სადისკუსიო კლუბი არ არის. არჩევნების სისტემას ბოლომდე გატარება. ყოველისფერი ეს კარგი და პატიოსანი. მაგრამ მთლიან და მონოლიტურ პარტიის ფარგლებში.

აუდიტორიის სულისკვეთება აშკარათ გამორკვეულია. ჩვენი ოპოზიციონერები (ნამსხვრევი მოსკოვის ოპოზიციისა), რომლებიც ამხ. ცინცაძის, ეშბასა და ხუნდაძის სახით ლამობენ სურათის შეცვლას ვერავითარ დადებით შედეგს ვერ აღწევენ, მიუხედავათ მათი ისტერიკული ჩარევისა და სისტემატიური „ცვიშენრუფებისა“.

— „გაბოროტებული უძლურება“!.. ამბობს მეზობლათ მჯდომი ამხანაგი. და ეს სიტყვები სრულიათ გამოხატავს ოპოზიციის მდგომარეობას, მის სისუსტეს და უილაჯობას.

იქვე გარეშე, ცენტრალური მომენტი სხდომისა იყო სიტყვა ამხ. სერგო ორჯონიკიძის, რომელსაც მთელი აუდიტორია შეხვდა მქუხარე ტაშისცემით და რომელსაც ხშირათ აწყვეტინებენ ტაშის.

ამხ. მიასნიკოვის მოკლე საბოლოო სიტყვის შემდეგ, თავმჯდომარე, ამხ კახიანი, კითხულობს რეზოლიუციას.

ვინ არის მომხრე?

„ტყე“ აშვერილი ხელებით.

რეზოლიუცია მიღებულია ერთხმათ წინააღმდეგ ერთისა და ოთხის თავის შეკავებით. ხოლო კრებას დაესწრო ტფილისის ორგანიზაციის ორი ათას ხუთას წევრამდე.

ტფილისის ორგანიზაციამ სთქვა თავისი სიტყვა...

პარტიისათვის, პარტიულ მთლიანობისათვის, პარტიის ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოებისათვის.

შინაპარტიული მდგომარეობა

(ამხ. მიასნიკოვის მოხსენება ტფილისის ორგანიზაციის საერთო პარტიულ კრებაზე)

21 დეკემბერს საერთო პარტიულ კრებაზე სახელმწიფო ოპერის შენობაში ამხ. მიასნიკოვმა გააკეთა მოხსენება შინაპარტიულ მდგომარეობის შესახებ.

სახელმწიფო ოპერის უზარმაზარი შენობა სავსეა, აქ არის 2.000 მეტი კაცი. ამხ. მიასნიკოვის პირველი სიტყვებისთანავე კრება სმენად იქცევა.

ამხანაგებო, ჩვენ აქ შევიკრიბეთ იმ საკითხის განსახილველად, რომელიც არა ერთხელ დასმულა ჩვენს რაიონულ კრებაზე,—ამბობს მომხსენებელი.

ჩვენ უბრუნდებით ამ საკითხს, რომ გავერკვეთ ამ საკითხში.

როგორ სწარმოებდა დისკუსია.

აღვადგინოთ მეხსიერებაში დისკუსიის მთელი მიმდინარეობა. უკანასკნელი ცნობები ამტკიცებენ, რომ მოსკოვსა და პეტროგრადში დისკუსია საბოლოო ფორმაში გადავიდა, დისკუსია, როგორც იცით, ამხ. ზინოვიევის წერილით დაიწყო. დისკუსიაში მონაწილე ამხანაგები საჭიროდ სთვლიდენ უჯრედების მუშაობის გამოცოცხლებას და პარტიაში შინაპარტიული დემოკრატიის ცხოვრებაში გატარებას.

ამხანაგები ჯგუფებიდან ლაპარაკობდენ პარტაპარატის უვარგისობის და მუშაკების გადაყენების შესახებ. ზოგიერთი ამხანაგები მიუთითებდენ იმაზე, რომ პარტიაში არის ორ ბანაკად გაყოფა: „მოხუცები და ახალგაზრდობა“. ამის შემდეგ ჩვენ მივიღეთ პეტროგრადის რეზოლიუცია.

საერთოდ დისკუსია მიმდინარეობდა ისე, რომ გამოდიოდენ პრაქტიკები, პასუხისმგებელი მუშაკები სდუმდენ. ამის შემდეგ გამოვიდენ პასუხისმგებელი მუშაკები, ისინი გარკვეული თვალსაზრისით აკრიტიკებდენ პარტიის ხაზს და ლაპარაკობდენ პარტიის ხაზის ამა თუ იმ მიმართულებით შეცვლის შესაძლებლობის შესახებ. ეს არიან ამხ. პრეობრაჟენსკი და სხვები.

ამიერ-კავკასიაში დისკუსია იყო ტფილისის ორგანიზაციაში. არ ყოფილა ის ბაქოში და საქართველოს პროვინციაში. ბაქოში მუშური დემოკრატია უკვე ტარდება ცხოვრებაში, იქ ამხანაგები უკვე შეუდგენ ც. კ. რეზოლიუციის განხორციელებას. უჯრედების წარმომადგენლებმა, მიუხედავათ ც. კ. არსებული კურსის წინააღმდეგ ზოგიერთი ამხანაგების გამოსვლისა, სრული ნდობა გამოუცხადეს ც. კ., პარტიის მთელ ხელმძღვანელ კადრს და მის საერთო პარტიულ ხაზს. მოსკოვში, ამ რამდენიმე ხნის წინათ იყო კრება, რომელზედაც გამოვიდა ამხ. კამენევი. და აქაც, მიუხედავათ ოპოზიციისა, ერთხმად იქნა გამოტანილი რეზოლიუცია ც. კომიტეტისადმი და მისი პარტიული ხაზისადმი სრული ნდობის შესახებ.

საიდან გამომდინარეობს კრიტიკა.

კრიტიკა გამომდინარეობს ოპოზიციონური „უკლონისტურ“ რიგებიდან, ყოფილ მემარცხენე კომუნისტების ზოგიერთ ნაწილიდან, იმ ამხანაგებიდან, რომლებიც ეკუთვნიან დემოკრატიული ცენტრალიზმის მიმართულებას და „შეურაცხყოფილ“ მუშაკებიდან. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო ამხ. ტროცკიმაც, მისი წერილი თქვენ, ცხადია, წაკითხული გექნებათ. ამხ. ტროცკი შიშს გამოსთქვამს, რომ შესაძლებელია ძველი პარტიული გვარდიის გადაგვარეობაო, საჭიროა აზრდა და წამოყენება ახალი თაობის. ამხ. ტროცკის მხარს უჭერენ ზოგიერთი ამხანაგები ოპოზიციიდან.

რა არის დემოკრატიული ცენტრალიზმი. ეს არის მემარცხენე კომუნიზმიდან გამოსულ ამხანაგების ჯგუფი. მას ეშინოდა პარტიის ზეგავლენის და ხელმძღვანელობის. ამ ოპოზიციას აქვს მნიშვნელობა მხოლოდ მოსკოვში, მას ჩვენ არ ვხვდებით პეტროგრადში, არც მოსკოვში, არც მთელ რიგ გუბერნიებში. დემოკრატიული ცენტრალისტები არიან: საპრონოვი, რაფაილი, კასიორი. მემარცხენე კომუნისტებიდან არიან ამხ. პრეობრაჟენსკი, სტუკოვი და სხვა. ჩვენ მათ ვიცნობთ ბრესტის ზავის, სპეცების გამოყენების, რკინიგზებზე დიქტატურის და სხვა საკითხების განხილვის დროს. მესამე ჯგუფს შეადგენენ მუშაკები—„შეურაცხყოფილები“.

რა სურთ მათ? ისინი ამბობენ, რომ პარტიაში არსებობს აპარატული მბრძანებლობა, არ არის თვითმოქმედება, აპარატები აკეთებენ ყველაფერსო. განა ეს მართალია? განა აპარატი ხელმძღვანელობს ჩვენს პარტიას? განა სეკრეტარიატი ბრძანებლობს? რასაკვირველია, არა! თუ რომ აპარატი სავსებით იმორჩილებდეს პარტიას, მაშინ როგორ შეიკრიბებოდა პარტიის ყრილობები და კონფერენციები. ჩვენ გვყავს ცეკა და ცენტრალური საკონტროლო კომისია, რომლებიც ყრილობიდან ყრილობამდე სწყვეტენ საკითხებს, იწვევენ გაფართოებულ პლენუმებს, ადგილებზე იმართება ყრილობები, კონფერენციები, უჯრედების საერთო კრებები და სხდომები, აპარატი წარმოადგენს მხოლოდ პარტიის ნების შემსრულებელს.

აპარატები და კომიტეტები.

არ უნდა აურიოთ ერთი მეორეში ორი სხვადასხვა ცნება—აპარატი და კომიტეტი. აპარატი არის განყოფილებები, ქვეგანყოფილებები, მათი გამგეები და სხვ. კომიტეტი კი სეკრეტარიატია, ხელმძღვანელი ორგანო, რომელსაც ირჩევენ საზოგადო კრებებზე, ყრილობებზე და კონფერენციებზე. კომიტეტი არჩეული ორგანოა; იგი განსხვავდება აპარატისაგან. განყოფილებები და ქვეგანყოფილებები წარმოადგენენ წმინდა ტეხნიკურ ორგანოებს, რომლებიც კომიტეტებს ექვემდებარებიან. საზოგადოთ ყველანი ლაპარაკობენ არა აპარატის მოუქნელობაზე, არამედ აპარატის „ბრძანებლობაზე“. ოპოზიციონერები ამბობენ: „საშინლათ გავრცელდა უჯრედების მდივანთა დანიშვნის სისტემა („ნაზნაჩენსტვო“). ასეთი განცხადებები წინაამდეგობას შეიცავენ. მართალია, ჩვენში ზოგჯერ ადგილი აქვს ასეთ დანიშვნების სისტემას. მაგრამ ცენტრ. კომიტეტმა განაცხადა, რომ საჭიროა ასეთი დანიშვნების უკუგდება და თვითმოქმედების შეტანა ჩვენს უჯრედებში, საჭირო „ნაზნაჩენსტვო“-ს დაყვანა მინიმუმამდე. მაგრამ ოპოზიციონერების გალაშქრებაში აპარატის წინააღმდეგ იმალება სხვა აზრი. როდესაც ლაპარაკობენ აპარატზე, მხედველობაში აქვთ კომიტეტები, ხელმძღვანელი ორგანოები, პარტიის ც. კ-ი. აი, სად მარხია ძაღლის თავი, ოპოზიციას სურს შესცვალოს ხელმძღვანელი პარტიული კომიტეტები: ამხანაგების ერთმა ნაწილმა ადგილი უნდა დაუთმოს მეორე ნაწილს. მაგრამ ვის სახელდობრ? სად არის სხვა ხელმძღვანელი წრე? პარტიული ორგანოები საიმედო ხელშია, იგი ხელმძღვანელობს მთელს პარტიულ მუშაობას.

ბრძოლა სწარმოებს არა რაიმე გარკვეულ პრინციპებისთვის; ოპოზიცია შეუფერებლათ სთვლის პარტიის ძირითად ორგანოების ეხლანდელ ხელმძღვანელებს და მათ შეცვლას ლამობს.

არის ამხანაგთა კადრი, ლენინის გამოცდილი მოწაფეები, რომლებმაც დაიმსახურეს პარტიის ნდობა და რომლებმაც არა ერთხელ გამოიყვანეს ჩვენი პარტია მძიმე მდგომარეობიდან.

ნუ თუ უნდა შევცვალოთ ისინი? რასაკვირველია, არა (ტაში), რა წინადადებას იძლევა ოპოზიცია, ვისზე მიგვითითებს იგი? მთელი მისი კრიტიკა წარმოადგენს ჯგუფურ და ფრაქციულ ანგარიშის გასწორებას. ცენტრალურ კ მა და ცენტრ. საკონტროლო კომისიამ უკვე გამოაქვეყნეს თავისი რეზოლიუცია, რომელიც გაცილებით მეტს გვეუბნება, ვიდრე ოპოზიციონერების მთელი კრიტიკა. საჭიროა უჯრედების მუშაობის გაჯანსაღება და ამის საწინააღმდეგო არავის არაფერი აქვს. ოპოზიცია მოითხოვს მთელი პარტიის, ქვეიდან ზედა ფენებამდე, „დაბერტყვას“. ოპოზიცია ამბობს, რომ ცენტრ. კ-ტი არ ანხორციელებს სწორ გეზს, საჭიროა სხვა გეზიო, აი, სანამდე მივიდა იგი. მაგრამ ეს მართალი არ არის. პარტიის გეზი რჩება და ტარდება.

„ახალი და ძველი თაობა“

საკითხის ასეთი დაყენება შეუწყნარებელია. პარტიის ამ ორ ჯგუფს—„ძველ და ახალ თაობას“ თავისი ღირსებები აქვთ. ძველმა გვარდიამ პარტია მიიყვანა დღევანდელ მდგომარეობამდე—პროლეტარიატის დიქტატურამდე, მან პრაქტიკაში განახორციელა მარქსიზმის თეორია (ლენინიზმი). ახალი თაობის ბრალი ხომ არ არის, რომ მან „ძველებზე“ უფრო გვიან შესდგა ფეხი პარტიაში. ახალი თაობა იზრდება და გაკვეთილებს იღებს ამხ. ლენინის მოწაფეებისაგან.

ახალგაზრდობა თავის დროზე შესძლებს ახალი რევოლიუციონური სოფლის შექმნას. დაყრდნობა მეორე ინტერნაციონალის ბელადების—კაუცკის, ბერნშტეინის და სხვების გადაგვარების ფაქტზე და მითითება იმაზე, რომ შესაძლებელია პარტიის ძველი გვარდიის გადაგვარება არ ვარგა. იქ უარი სთქვეს მარქსიზმზე ჩვენში კი პარტია და მისი ბელადები რევოლიუციას ახდენენ იქ მოატყუეს პროლეტარიატი, ჩვენში კი მას ბრძოლაში მიუძღვებიან, მასთან ერთად იბრძვიან საბჭოთა ხელისუფლებისათვის, კომუნიზმისათვის.

ჯგუფები და ფრაქციები.

შეიძლება მათი დაშვება ჩვენს პარტიაში. რასაკვირველია არა. ზოგიერთები ოპოზიციიდან მოითხოვენ ჯგუფების აზრის თავისუფლებას. თუ ჩვენ ამას დაუშვებთ, ჩვენ მივიღებთ ფრაქციას, ჩვენ დავანგრევთ პარტიას, ჩვენი პარტია შენდება ნებაყოფლობითი საფუძვლებზე და ღრმათ შემცდარი იყო ამხ. რაფაილი, როცა პარტიას ადარებდა არმიას.

რა მოგვცა დისკუსიამ.

დისკუსიამ სულ სხვა ხასიათი მიიღო. ც. კ. და ც. ს. კ. რეზოლიუციის გამოქვეყნების და ოპოზიციონერების პოზიცია შეიცვალა. იღებენ რა მთლიანად ც. კ. და ც. ს. კ. რეზოლიუციას, მათ შეაქვთ მასში ერთგვარი დამატება. პროვინციებში სხვა რეზოლიუციას, გარდა ც. კ. და ც. ს. კ. რეზოლიუციისა არ იღებენ. ოპოზიციონერები ყოველგან მარცხდებიან. ც. კ სრული ნდობით სარგებლობს, ის ანხორციელებს სწორ ხაზს, რომელსაც პარტია ახალი მიღწევებისაკენ მიყავს. და დღეს ტფილისის ორგანიზაციამ უნდა სთქვას: „ჩვენი პარტიული ხაზი მტკიცეა, სწორია. ხელმძღვანელობა—მაგარ ხელებშია. ჩვენ მათ ვენდობით“.

ამხ. მიასნიკოვის ამ სიტყვებს მქუხარე ტაში ფარავს.

კამათი.

მოხსენების შემდეგ დაიწყო გაცხოველებული კამათი. ორატორები აღნიშნავდენ პარტიული მუშაობის ნაკლს და ღირსებებს. ამხ. ეშბა ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ ოპოზიციონერებს არ სურთ ფრაქციების ლეგალიზაცია პარტიის შიგნით. ის ბრალს სდებს მომხსენებელს სისწორის დაუცველობაში, შიშში და სიმხდალეში. ამხ. ხუნდაძე ლაპარაკობს ამხ. პრეობრაჟენსკის და მოსკოვის ერთ-ერთ ორგანიზაციის რეზოლიუციებზე და ხაზს უსვამს მათ მსგავსებას. ამხ. ცინცაძე აღნიშნავს, რომ აზრი იქნება მხოლოდ მთელი პარტიის მიერ საკითხის ყოველმხრივათ და ფართოდ განხილვის შემდეგ. ამხ. ტროცკი საკითხს „მოხუცების და ახალგაზრდების“ შესახებ სწორად სვამს. აპარატს შეუძლია შთანთქას იქ მიკალათებული ამხანაგები. ამხ ცინცაძე აყენებს ჩვენი „უკლონისტების“ ჩვეულებრივ მოთხოვნილებებს. ამხ. ლომინაძე ამბობს, რომ წინად გამოსული ამხანაგები ცდილობენ დაუბრუნონ კრება პირველ ფაზას. მეორე ფაზას გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ განვიხილავთ საკითხს მთელი რუსეთის კომპარტიის მდგომარეობის შესახებ. ამხ. ტროცკის არ ესაჭიროება წინანდელ ორატორების დაცვა. ტფილისის კომიტეტის პლენუმმა დაადგინა უარჰყოს ამხ. პრეობრაჟენსკის რეზოლიუცია და შეუერთდეს ცეკას რეზოლიუციას.

გამოვიდენ კიდევ სხვა ორატორები: ამხ. კიღნაძე, ფირცხალავა, ცერცვაძე და სხვები. რომელთაც ახალი არაფერი შეუტანიათ კამათში უნდა აღინიშნოს, რომ ამხ. ნ. კეკნაძემ თავისი სიტყვა დაამთავრა იმაზე მითითებით, რომ მხოლოდ „უკლონისტების“ და ოპოზიციის ხელში პარტია მოიპოვებს საიმედო ხელმძღვანელობასო.

ორი სამი „უკლონისტი“ და განსაკუთრებით ამხ. კ. ცინცაძე კრებაზე ღელავდენ იმ ზომამდე, რომ გამოიწვიეს საყოველთაო აღშფოთება. ამხ. მიასნიკოვის მოკლე საბოლოო სიტყვის შემდეგ კენჭდება ორი რეზოლიუცია; პირველი—მიღებული ტეკას პლენუმის მიერ და მეორე—„უკლონისტების“ მიერ წარმოდგენილი ამხ. ცინცაძის სახით. უკანასკნელი ერთსულოვნად უარყოფილ იქნა. მიღებულ იქნა პირველი,—პრაქტიულად 2 ნახ. ათასი ხმით, წინააღმდეგ ერთისა, თავი შეიკავა ხუთმა. კრება იხურება ღამის 11 საათზე.

რეზოლიუცია

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის საერთო საქალაქო კრება ჯარში მომუშავე კომუნისტების წარმომადგენლებთან ერთად, რომელსაც დაესწრო პარტიის ორნახევარი ათასი წევრი, ერთხმად (წინააღმდეგი იყო 1 და 4 თავი შეიკავა), მიიღო რეზოლიუცია:

მოისმინა რა მოხსენება შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ, საერთო კრება მთლიანად და სავსებით უერთდება პეტროგრადის ორგანიზაციის დადგენილებებს და უკანასკნელ წერილს.

სთვლის რა, რომ პარტმშენებლობის მუშაობა უნდა სწარმოებდეს თანახმად რ. კ. პ. ც. კ. რეზოლიუციისა, რომელიც მიუთითებს სწორ გზაზე პარტიის რიგების გასამტკიცებლად და სასტიკად კიცხავს ყოველგვარ ჯგუფებს და ფრაქციებს, კრებას საჭიროთ მიაჩნია შინაპარტიულ დემოკრატიის განხორციელებაზე გადასვლა რ. კ. პ. ც. კ. ხელმძღვანელობით, რომლისათვისაც კვლავინდებურად უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სრული ნდობა პარტორგანიზაციების და პარტიის მხრივ მთლიანად.

დისკუსიის შედეგები

დისკუსია „პარტიის ახალ ამოცანების შესახებ“, რომელმაც რამდენიმე ფაზა გამოიარა რუსეთში და ჩვენშიაც თითქოს დასასრულს აღწევს. კმაყოფილებით შეიძლება აღინიშნოს, რომ რამდენადაც მძიმე არ უნდა იყოს ეს დისკუსია (ზოგიერთ ადგილებში მან მიიღო მახინჯი ფორმები), განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი სწარმოებს ამხ. ლენინის მონაწილეობის გარეშე,—ჩვენი პარტია გამოვა გაჯანსაღებული. და, რა თქმა უნდა, არ გამართლდება ჩვენი მტრების სურვილები, რომლებიც ფიქრობენ, რომ კომპარტიის რიგებში მომწიფდა სერიოზული კრიზისი. დისკუსიამ შეარხია მთელი ჩვენი პარტიული მასსა, პარტიამ მხედველობაში მიიღო წარსული მუშაობის გამოცდილება, აღმოაჩინა სხვადასხვა დეფექტები, რომლებსაც ის მომავალში გამოასწორებს. ტფილისშიაც ჩვენ გამოვიარეთ დისკუსიის რამდენიმე ეტაპი.

პირველ მომენტში დისკუსია სწარმოებდა შინაპარტიულ დემოკრატიის საკითხის გარშემო. მაგრამ ამხანაგების ზოგიერთი ჯგუფები საკითხს ცოტა სხვანაირი ფორმით აყენებდენ. არა შინაპარტიულ დემოკრატიის საკითხი აინტერესებდა ამ ამხანაგებს, შინაპარტიულ დემოკრატიის შირმის ქვეშ, ეს ამხანაგები აყენებდენ საკითხს **საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის პოლიტიკურ ხაზის შესახებ.**

აი ამიტომ დისკუსიამ მიიღო ცეკას და საერთოთ პარტიულ აპარატების წინააღმდეგ იერიშების მიტანის ხასიათი. გავრცელდა ტერმინები: „აპარატჩიკი“, „ოფიციალური პარტია“, „პარტიის ოფიციალური ორგანო“ და სხვა.

რა თქმა უნდა ძალიან ბევრი დეფექტებია ყოველ პარტიულ აპარატში. მაგრამ, როცა პარტია დაუპირდაპირეს „ვოენშჩინას“ და ალაპარაკდენ იმაზე, რომ პარტიაში „ბატონყმობაა“ გამეფებული,—აშკარა გახდა, რომ ამხანაგების ზოგიერთ ჯგუფებს ქონდათ განსაზღვრული სურვილი დაემხოთ ეს ხელმძღვანელი ორგანოები და შეეცვალათ ისინი. რისთვის? იმისათვის, რათა გაატარონ **სხვაგვარი პოლიტიკური ხაზი**, რომელიც არა ერთხელ ყოფილა დაგმობილი მთელი ჩვენი პარტიის მიერ. აქვე უნდა ითქვას, რომ შინაპარტიულ დემოკრატიის მედროშეთ გამოდიოდენ სწორეთ ის ამხანაგები, რომელთა უმრავლესობას არაფერი საერთო არ ჰქონიათ შინაპარტიულ დემოკრატიასთან.

საკითხი შემდეგნაირად იყო დასმული: სწორია თუ არა საქართველოს კომპარტიის ცეკას პოლიტიკური ხაზი? თუ საჭიროა მთელი პარტიული აპარატი, ცეკითურთ გადავიდეს იმ ამხანაგების ხელში, რომლებსაც გაცხარებული იერიშები მიაქვთ ტფილისის და ცენტრალურ კომიტეტების წინააღმდეგ. ამ მიმართულებით წარმოებულმა ბრძოლამ რამდენიმედ დაჩრდილა დისკუსიის აზრი იმ მხრივ, რომ სათანადო ყურადღება არ ჰქონია მიქცეული პრაქტიკული ღონისძიებათა აღნიშვნას პარტიულ მუშაობაში დეფექტების თავიდან ასაცილებლად. მიუხედავათ ამისა ტფილისის კომიტეტის მიერ შემუშავე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული იქნა მთელი რიგი პრაქტიკულ ღონისძიებებისა, იაჩეიკებმა შეიტანეს ზოგიერთი შესწორებები, შეიტანეს მრავალი დამატებითი წინადადებანი და სხვა.

ამხანაგების ერთი ჯგუფის ფრაქციულად გამოსვლის გამო, ტფილისის ორგანიზაციამ მხარი დაუჭირა ყოველგვარ ფრაქციების და ჯგუფების გაბედულად დაგმობას და ამით სრული ნდობა გამოუცხადა საქართველოს კომპარტიის ცეკას და ცეკას პოლიტიკურ ხაზს, რომელიც ტარდება რუსეთის კომპარტიის ცეკას უშუალო ხელმძღვანელობით.

ჩვენმა ტფილისის ორგანიზაციამ მიიღო პარტიის იმ წევრთა გონივრული წინადადებანი, რომლებიც ობიექტიურად აკრიტიკებდენ ნაკლოვანებებს ჩვენს მუშაობაში. ტფილისის ორგანიზაციამ ამასთან ერთად გაბედულად მოუწოდა წესრიგისაკენ ზოგიერთ ამხანაგებს, რომლებიც სცდილობდენ შინაპარტიულ დემოკრატიის ნიღაბის ქვეშ გაეყვანათ თავიანთი ფრაქციული სურვილები, მოუწოდა წესრიგისაკენ იმათ, ვინც კრიტიკას ნაცვლად პირდაპირ აფურთხებდენ პარტიას და მის ხელმძღვანელ ორგანოებს.

ჩვენი ორგანიზაცია სავსებით და მთლიანად შეუერთდა პეტროგრადის კონფერენციის გადაწყვეტილებებს და რუსეთის კომპარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომიტეტის თეზისებს პარტიულ მშენებლობის შესახებ. ეს იყო პირველი ეტაპი ჩვენს დისკუსიაში. თუ მივაქცევთ ყურადღებას მოსკოვში წარმოებულ დისკუსიას, იქაც თითქმის იგივე ხდებოდა. ამხ. საპრონოვმა, პრეობრაჟენსკიმ, სტუპკამ, რაფაილმა და სხვებმა, სწორედ ასევე დააყენეს საკითხი პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებისათვის ნდობის გამოცხადების შესახებ. პრეობრაჟენსკის წერილი იყო ამ ჯგუფის პლატფორმა. ფრიად დამახასიათებელია: იერიში პარტიულ აპარატის წინააღმდეგ, გარანტიის საკითხი (იძლევა თუ არა გარანტიას ესა თუ ის აპარატი, რომ იგი გაატარებს ცხოვრებაში რ. კ. პ. ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის რეზოლიუციას?) ყველა წამოყენებულ დებულებათა დასაბუთება—ერთი და იგივე იყო ტფილისშიაც და მოსკოვშიაც. ოპოზიციები თითქოს შეთანხმდენ, თუმცა ტფილისის ოპოზიციონერების ჯგუფის პირველი შეხედვით საერთო არაფერი აქვთ არც პრეობრაჟენსკის, საპრონოვის და სხვა ამხანაგების პლატფორმასთან. მაგრამ მოხდა ამ ოპოზიციების კონსოლიდაცია. ვინც თვალყურს ადევნებდა დისკუსიას, მან ალბათ მშვენივრად დაინახა, რომ პრეობრაჟენსკიმ და საპრონოვმა მოსკოვში განიცადეს ისეთივე მარცხი, როგორც ჩვენმა ადგილობრივმა ოპოზიციონერებმა. მათ წინააღმდეგ გაბედულად გაილაშქრეს პიტერის, [illegible] და მთელ რიგ სხვა პროვინციალურ ორგანიზაციებმა.

ოპოზიცია იქ ყოველდღე გეგმაზომიერად იხევდა უკან, ჩვენში იგი პანიკურად გაიფანტა მთელი ორგანიზაციის თავდასხმის შემდეგ.

ასე დასრულდა დისკუსიის პირველი პერიოდი.

რა სურდა ოპოზიციას?

1. შინაპარტიული დემოკრატია. რ. კ. პ. ცეკამ და ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ უფრო მეტი სთქვა იმაზე, ვიდრე ამას ბევრი მოისურვებდა. საჭირო იყო ამის მიღება და საქმიანი მუშაობის დაწყება. ჩვენში, ტფილისში არავინ არ წასულა შინაპარტიულ დემოკრატიის წინააღმდეგ.

2. შეერხია მთელი პარტიული აპარატი თავიდან ბოლომდე. რუსეთში იყო ლტოლვა იერიშები მიეტანათ რ. კ. პ. ცეკას ხელმძღვანელ უმრავლესობის წინააღმდეგ, საქართველოშიც იყო ლტოლვა იერიშები მიეტანათ საქართველოს კომპარტიის ცეკას ხელმძღვანელ უმრავლესობის წინააღმდეგ.

რისთვის? **იმისთვის, რათა ხელში ჩაეგდოთ ეს აპარატი და გაეტარებინათ თავისი პოლიტიკური ხაზი, რომელიც ეწინააღმდეგება ცენტრალურ ორგანოების ხაზს.**

პრეობრაჟენსკის, საპრონოვს და სხვებს სურდათ გაეტარებიათ პარტყრილობების მიერ არა ერთხელ დაგმობილი ხაზი, ადგილობრივ ოპოზიციონერებს სურდათ გაეტარებიათ აგრეთვე ყრილობის მიერ არა ერთხელ დაგმობილი პოლიტიკური ხაზი.

აი სად მარხია ძაღლის თავი. აი რატომ ესარჩლებიან პარტიის შიგნივ მუშათა დემოკრატიის საკითხს ასე ხშირად ისინი, რომელთაც არაფერი საერთო არ აქვთ ამ დემოკრატიასთან.

პიტერშიაც, მოსკოვშიაც, სხვა ქალაქებშიაც და ტფილისშიაც ეგრედწოდებულმა ოპოზიციამ სრული კრახი განიცადა.

პარტიის დიდმა უმრავლესობამ სრული ნდობა გამოუცხადა რ. კ. პ. ცეკას და გაჰკიცხა ყველა ფრაქციული ჯგუფები.

პარტიული აპარატი უნდა განახლდეს, ამ აპარატის დეფექტები უნდა გამოსწორდეს. მაგრამ პარტიამ არ მოისურვა მიენდო ხელმძღვანელობა ამხ. ამხ. პრეობრაჟენსკის, საპრონოვის, რაფაილისა და სხვებისათვის, **ჩვენი პარტია უცხადებდა, უცხადებს და მომავალშიაც გამოუცხადებს ნდობას ძველ გამობრძმედილ ბოლშევიკებს, ამხ. ლენინის უახლოეს თანამშრომელთა იმ კადრს, რომელიც უკანასკნელთან ერთად აშენებდა ბოლშევიკურ პარტიას, ხელმძღვანელობას უწევდა მას ათეული წლების განმავლობაში, რომელმაც მიიყვანა ეს პარტია ხელისუფლებამდე და წაიყვანს მას ახალ გამარჯვებისაკენ მსოფლიო ბურჟუაზიაზე.**

აი, რა უთხრა ჩვენმა პარტიამ იმათ, ვინც ზოგჯერ აშკარად სცდილობდა იერიშები მიეტანა ჩვენი პარტიის ხელმძღვანელ უმრავლესობის წინააღმდეგ. კერძოთ, საქართველოს მაშტაბში, ჩვენმა ტფილისის ორგანიზაციამ ერთხელ კიდევ დაადასტურა საქართველოს კომპარტიის ცეკას პოლიტიკური ხაზის სისწორე და გაბედულად უკუაგდო ზოგიერთ ამხანაგების ცდა აღედგინათ პარტიის მიერ დაგმობილი ძველი პოლიტიკური ხაზი.

დისკუსიის შემდეგი მომენტი დაკავშირებულია ამხ. ტროცკის ცნობილ სტატიასთან და წერილთან ამ სტატიის გამო პეტროგრადის ორგანიზაციის მიმართ.

ამხ. ტროცკი ერთ-ერთი საყვარელი ბელადია ჩვენს პარტიაში. სახელი და დიდება ჩვენს მოწინავე პეტროგრადის ორგანიზაციას, რომელმაც თავის დროზე და აშკარად დაუყენა პარტიის ბელადს საკითხი, რომელზედაც ამხ. ტროცკიმ უნდა მისცეს გარკვეული პასუხი. პეტროგრადელი ამხანაგები მიუთითებენ ამხ. ტროცკის შეცდომებზე, რომლებიც დაშვებულია რ. კ. პ. ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის მიერ პარტმშენებლობის შესახებ რეზოლიუციის მიღების შემდეგ დაბეჭდილ წერილში.

ამხ. საპრონოვები, პრეობრაჟენსკები და სხვები იყენებენ ამ წერილს და აძლიერებენ რ. კ. პ. ცეკას წინააღმდეგ მიტანილ იერიშების ტემპს, თავის ანტიპარტიულ ხაზს ისინი ფარავენ ამხ. ტროცკის ავტორიტეტით! ამხ. ტროცკის ავტორიტეტი ძალიან დიდია არა მარტო ჩვენს პარტიაში, არამედ საერთაშორისო მაშტაბითაც. აი ამიტომ ჩვენი პარტია გაფაციცებით ელის პასუხს და ერთი წუთითაც ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ ამხ. ტროცკი გაემიჯნება ამხ. რაფაილებს, საპრონოვებს, პრეობრაჟენსკებს და ცინცაძეებს და ცეკასთან ერთად გაილაშქრებს ყოველგვარ ფრაქციების და ჯგუფების წინააღმდეგ.

ჩვენი ტფილისის ორგანიზაცია სავსებით უერთდება პეტროგრადელ ამხანაგების მიერ საკითხის დაყენებას.

მე ვფიქრობ, რომ ჩვენმა ტფ. ორგანიზაციამ უკანასკნელ დისკუსიაში ჩააბარა პოლიტიკური გამოცდა და მას შეუძლია ჩასთვალოს თავი ბოლშევიზმის ერთ-ერთ საიმედო კოლექტივად. **იგი ერთსულოვნად**, იმ ამხანაგების მცირე ჯგუფის გარდა, რომელთაც მართებთ თავის დროზე მოვიდენ გონს, იცავს იმ აზრს, რომ დისკუსიიდან სათანადო დასკვნების გამოტანის შემდეგ საჭიროა აწონილ-დაწონილ იქნას თავისი ოპოზიციის პოლიტიკური აზრი ჩამოიბერტყოს ძველი შინაპარტიული ბრძოლის მტვერი, რათა შეიქნას პარტიის მუშაობის ნორმალური პირობები, როდესაც პარტია თავის მტრების წინაშე, მათ წინააღმდეგ დაუღალავ ბრძოლაში, იქნება აბსოლიუტური მთლიანი, შეკავშირებული და მტკიცე, როგორც სალი კლდე.

დისკუსია დასასრულს აღწევს და უკვე შეიძლება ითქვას, რომ ამ დისკუსიების შემდეგ ჩვენი პარტია იქნება კიდევ უფრო ძლიერი და ფოლადისებური.

რუბენ.

სრ. რუსეთის საგანგებო კომისია (ჩეკა)—დღეს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო

ბასრი მახვილი და მჭრელი თვალი რევოლიუციის



არსებობის ექვსი წლის თავზე

Коллекция
Федосеева

ექვსი წლის მუშაობა

სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის დაარსება იყო პასუხის გაცემა საბჭოთა ხელისუფლების მიერ ბურჟუაზიულ-მემამულეთა წრეების ორგანიზაციულ წინააღმდეგობაზე. თეთრმა ტერორმა, საბოტაჟმა, რევოლიუციის ბელადებზე თავდასხმამ, საბჭოთა წყობილებისადმი წინააღმდეგობამ და თვით პროლეტარიატის დიქტატურის არსების საწინააღმდეგო შეთქმულებამ სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია გახადა რევოლიუციის მებრძოლ ორგანოთ, ჩააყენა ის მუშათა კლასის კაპიტალთან ბრძოლის ავანგარდში.

სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია შეიქნა თავზარდამცემი სიმბოლო იმათთვის, ვინც ვერ ურიგდებოდა მშრომელთა მონოპოლიას, ვინც ოცნებობდა ძველი რეჟიმის მკვდრეთით აღდგომაზე, ვინც ამზადებდა მუხრუჭს მუშებისა და გლეხებისათვის. სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია იდგა რევოლიუციის საგუშაგოზე და ღირსეულად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მძიმე მოვალეობას.

გაცხარებულ სამოქალაქო ომის დროს, როდესაც ჩვენ გარშემორტყმული ვიყავით ბლოკადის ცეცხლის რკალით, როდესაც ჩვენ გვაწვალებდა სიმშილი, სიცივე და ეკონომიური არევ-დარევა, როდესაც შინაური თეთრგვარდიელები და უცხოეთის იმპერიალისტები უახლოვდებოდენ რესპუბლიკის გულს, სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია და მისი ორგანოები აწარმოებდენ თავგანწირულ, გმირულ მუშაობას

აღმოჩენილ შეთქმულებათა და აჯანყებათა რიგი უამრავი იყო.

ს. რ. საგანგებო კომისიის შორსმჭვრეტელი თვალი ყველაფერს სწვდებოდა. ს. რ. საგანგებო კომისია იყო პროლეტარიატის დიქტატურის იარაღი. პროლეტარიატმა საგანგებო კომისიაში მუშაობისათვის გამოჰყო მისი საუკეთესო შვილები და არ არის გასაკვირი, რომ ჩვენს მტრებს სასტიკად ეჯავრებოდათ საგანგებო კომისია და მისი თანამშრომლები. მათი სიძულვილი—სავსებით დამსახურებულია.

საგანგებო კომისიას შეუძლია იამაყოს მით, რომ ის იყო ჯერ არ გაგონილი [illegible] ობიექტი ბურჟუაზიის მხრივ.

ს. რ. საგანგებო კომისია ამაყობს თავისი გმირებით, რომლებიც დაიღუპნენ ბრძოლაში.

დამთავრდა ომი. დადგა მშვიდობიანი აღმშენებლობის ხანა. საჭირო დარჩა ჩვენი საგანგებო ორგანოების გადახალისება. დღეს მას ეწოდება სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო.

სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ შეაცირა თავისი აპარატი, მაგრამ [illegible] გააძლიერა მისი ხარისხი. სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო გრძნობს, რომ ის ამოცანები, რომელიც მან კიდევ უნდა გადასჭრას გრანდიოზულია, მაგრამ ფართე პროლეტარულ მასების ნდობა მისცემს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს მუშაკებს მტკიცე რწმენას იმაში, რომ ისინი თავის საქმეს შეასრულებენ.

საგანგებო კომისიის პირველი შემადგენლობა

ამხ. ძერჟინსკი.

ფელიქს ედმუნდის-ძე ძერჟინსკი სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის (ეხლა მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს) თავმჯდომარე იმავე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, გზათა კომისარი, რუსეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის და ყველა სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის წევრი. პარტიაში ირიცხება 1895 წლიდან (პოლონეთის და ლიტვის ს.-დ.). თავისი ცხოვრება შესწირა რევოლიუციონურ მუშაობას. ციხეში იჯდა სულ 11 წელი, ორჯერ გაიქცა გადასახლებიდან, სანამ 1912 წელს არ ჩასვეს კატორღის ციხეში 9 წლით. განთავისუფლებული იქნა თებერვლის რევოლიუციის შემდეგ და მაშინვე შეუდგა თავის წინანდელ მუშაობას. ოქტომბრის რევოლიუციამ, მას მიუსწრო როგორც რუსეთის კომპარტიის ცეკას წევრს. ხოლო 1918 წ. 20 დეკემბერს (ძ. სტ.) სახალხო კომისართა საბჭო ნიშნავს მას სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარედ. ამ ჟამად ამხ. ძერჟინსკი მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს თავმჯდომარეა.

ამხ. უნშლიხტი.

იოსებ სტანისლავის-ძე უნშლიხტი 1921 წ. 15 აპრილიდან სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. რევოლიუციონურ მოძრაობაში ჩაბმულია 1900 წლიდან. ციხეში იჯდა სულ 5 წელი და სამჯერ მისჯილი ჰქონდა ადმინისტრატიული გადასახლება და ერთხელ—მუდმივი იქ დასახლება. თებერვლის რევოლიუციამ მას მოუსწრო ციმბირში, როცა ის იყო რუსეთის სოც.-დემოკ. მუშათა პარტიის ირკუტსკის კომიტეტის წევრი. პეტროგრადში დაბრუნების შემდეგ ის მუშაობდა პეტროგრადის ორგანიზაციაში და პოლონეთის ბოლშევიკურ ორგანოს რედაქციაში. ოქტომბერში ის ირიცხებოდა პეტროგრადის სამხედრო რევოლიუციონურ კომიტეტის წევრად, შემდეგ ინიშნება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად. შემდეგ მუშაობს საპასუხისმგებლო სამხედრო თანამდებობაზე, იყო ყველა სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის წევრი და ყველა პარტიულ ყრილობების მონაწილე, ამ ჟამად არის მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს თავმჯდომარის მოადგილე.

ამხ. ლაცისი.

მარტინ იანის ძე ლაცისი—(სუდრობს) სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის კოლეგიის ყოფ. წევრი სოფლის პროლეტარი („ბატრაკი") პარტიაში 1905 წლის ოქტომბრიდან ლატვიის მშ. ს. დ.) ლატვიის 1906 წლის აჯანყების აქტიური მონაწილე, 1909 წლიდან პროპაგანდისტი, 1910 წელს იძულებულია გადავიდეს არალეგალურ მდგომარეობაზე. 1916 წელს ასახლებენ ციმბირში, საიდანაც აჩერხებს გაქცევას და თებერვლის რევოლიუციიდან მუშაობს პარტიაში, როგორც აგიტატორ-ორგანიზატორი, ვიბორგის რაიონული კომიტეტის და რუსეთის კომუნისტური პარტიის პეტროგრადის კომიტეტის აღმასკომის წევრი ოქტომბრის რევოლიუციის დროს მუშაობს პეტროგრადის საბჭოს სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტში, საიდანაც ინიშნება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიაში, ხოლო 1918 წელს მაისიდან სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის კოლეგიაში. იყო სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის წევრი და თავმჯდომარეობდა უკრაინის საგანგებო კომისიას და აგრეთვე ჩეხო-სლოვაკიის ფრონტის ამავე კომისიას. ეხლა არის სამთამადნო მრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროსის მოადგილე, შრომის და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ მარილის მონოპოლიის გამტარებელ კომისიის თავმჯდომარე.

ამხ. მენჟინსკი.

ვიაჩესლავ რუდოლფის ძე მენჟინსკი—საიდუმლო ოპერატიულ სამმართველოს უფროსი. პარტიაშია 1902 წლიდან. 1904 წლიდან უჭირავს მთელი რიგი საპასუხისმგებლო თანამდებობისა არალეგალურ პარტიულ ორგანიზაციაში. 1907 გადასახლდა საზღვარ-გარეთ და მუშაობდა „სალდატ"-ის რედაქტორად და სამხედრო ორგანიზაციების ბიუროში. გადატრიალების შემდეგ დაინიშნა ფინანსთა კომისრად. შემდეგ ამხ. იოფესთან ერთად გაიგზავნა ბერლინში გენერალურ ელჩის თანამდებობაზე. შემდეგ მუშაობდა გარეშე საქმეთა კომისარიატში და მოლაპარაკებას აწარმოებდა გერმანიის საბჭოებთან დასავლეთის საზღვრის დატოვების შესახებ. 1919 წ. 17 სექტემბერს იგზავნება სამუშაოზე საგანგებო განყოფილებაში, ხოლო 1920 წელს დაინიშნა სრ. რ. საგანგებო კომისიის კოლეგიის წევრად და საგანგებო განყოფილების უფროსად.

ამხ. იაგოდა.

გენრიხ გიორგის ძე იაგოდა—საიდუმლო-ოპერატიულ სამმართველოს უფროსის მოადგილე და საგანგებო განყოფილების უფროსი. პარტიაშია 1907 წლიდან. არალეგალური მუშაკი პიტერში (ნევის რაიონი); თებერვლის რევოლიუციის დროიდან მუშაობს პეტროგრადის ბოლშევიკების სამხედრო ორგანიზაციაში. ოქტომბრიდან იგზავნება სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, უმაღლეს სამხედრო ინსპექციაში და ფრონტებზე. მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს კოლეგიის წევრი.

ამხ. პეტერსი.

იაკობ კრისტეფორის ძე პეტერსი.—1917 წ. 20 დეკემბრიდან სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის კოლეგიის წევრი, ს. რ. საგანგებო კომისიის თავმჯდომარის ყოფ. მოადგილე. მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს კოლეგიის წევრი. პროლეტარი. პარტიაშია 1904 წლიდან იყო გახიზნული საზღვარგარეთ. დაბრუნდა თებერვლის რევოლიუციის შემდეგ. იყო ლატვიის სოც.-დემოკ. პ. ცეკას წევრი. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ იყო პეტროგრადის საბჭოს სამხედრო რევოლიუციონურ კომიტეტის წევრი. 1917 წლის 20 დეკემბრიდან (ძვ. სტ.) შედის სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისიაში, სადაც მუშაობს სხვადასხვა თანამდებობაზე, დაწყებული ხაზინადარისა და მდივნიდან და გათავებული თავმჯდომარის მოადგილით. ყველა სრულიად-რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის წევრი. ამჟამად არის მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს წევრი და აღმოსავლეთის განყოფილების უფროსი.

ამხ. ქსენოფონტოვი.

ქსენოფონტოვი მუშაობდა საფეიქრო ფაბრიკაში 12 წლის ჰასაკიდან. რევოლიუციონურ მოძრაობაში მონაწილეობას ღებულობდა 1901—1902 წ. რ. სოც. დემ. მუშ. პარტიაში (ბ.) შევიდა 1903 წელს. იყო რუს. სოც. დემ. მუშათა პარტიის (ბ) სამხედრო ორგანიზაციის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი 1906—1909 წლ. პერიოდში. რევოლიუციამდე აწარმოებდა ორგანიზაციულს, საპროპაგანდო და პროფესიონალურ (წყალსადენი მუშაკთა კავშირის მდივანი) მუშაობას.

რევოლიუციიდან პირველ დღიებიდან იყო გუნდის კომიტეტის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი: იყო წევრი დამფუძნებელი კრების, სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის, ს. რ. საგანგებო კომისიის კოლეგიის, მისი დაარსების დღიდანვე 21 წლის ბოლომდე. სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის მდივანი 1919 წ. და 1921 წლამდე აღნიშნულ კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. უმაღლესი ტრიბუნალის წევრი და მისი თავმჯდომარე. 2[illegible] წლის ივლისიდან არის რუსეთის კომპარტიის ცეკას საქმეთა მმართველი.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები)

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

შვეცია: რუსეთიდან დაბრუნებულნი სვენ გედინი, ენგესტრენი და აშბერგი დიდ კამპანიას ეწევიან საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოდ.

ინგლისი: ლიბერალურმა პრესამ გააძლიერა პროპაგანდა საბჭოთა კავშირის ცნობისათვის. გაზეთები აღნიშნავენ, რომ კონსერვატორული მთავრობის დაცემისთანავე—საბჭოთა მთავრობა ცნობილი იქნება იურიდიულათ.

ამერიკა: ამერიკის კონგრესში სენატორმა ბორამ წარმოსთქვა დიდი სიტყვა საბჭოთა მთავრობის ცნობის სასარგებლოდ და გაილაშქრა იუზის წინააღმდეგ.

ამერიკაში

რუსეთის საკითხი და საარჩევნო კამპანია

ნიუ-იორკი 21 დეკემბერი. საერთო აზრით რუსეთის საკითხი საარჩევნო კამპანიის ცენტრალურ საკითხად გადაიქცა.

კამათი სენატში რუსეთის საკითხის გარშემო.

ნიუ-იორკი. 21 დეკემ. იუზის განცხადებამ ჩიჩერინის წინადადების შესახებ და აგრეთვე სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულმა კომინტერნის ინსტრუქციამ ამერიკის მუშათა პარტიის მიმართ ცხოველი კამათი გამოიწვია სენატში. სენატორებმა ბორამ, ნორისმა და უილერმა, რომლებიც კრიტიკას უწევდენ იუზის პოლიტიკას, **უნდობლობა გამოუცხადეს მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ საბუთებს.** სენატორ ბორას მიერ რამოდენიმე დღის წინეთ წარმოდგენილი რეზოლიუცია, **რომელიც მოითხოვს საბჭოთა კავშირის ცნობას აქამდე არ იყო გარჩეული.** ეხლა კი ეს რეზოლიუცია გადაეცა სენატის გარეშე საქმეთა კომისიას დასკვნისათვის. კომისიის თავმჯდომარემ ლოჯმა განაცხადა, რომ კომისია თავის დასკვნას წარუდგენს სენატს უახლოეს მომავალში.

პროგრესისტ-სენატორებმა მოსთხოვეს იუზს დაემტკიცებინა, რომ კომინტერნის ინსტრუქცია არ წარმოადგენს ყალბ საბუთს და მიაქციეს იუზის ყურადღება იმ ფაქტზე, რომ დოკუმენტებზე არ არის აღნიშნული თარიღი. სენატორ ბორამ განაცხადა, რომ **საბჭოთა მთავრობა ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა ამერიკის მთავრობის ჩამოგდებისაკენ მიმართულ ცდაში.** ლოჯის კითხვაზე კომუნისტურ პროპაგანდის შესახებ სხვა ქვეყნებში, ბორამ უპასუხა, რომ **საფრანგეთი და ინგლისი თვითონ უწევდენ ფინანსიურ დახმარებას საბჭოთა ხელისუფლების მტრებს და აწყობდენ მათ იარაღს საბჭოთა მთავრობის ჩამოგდების მიზნით.** რატომ რუსეთსაც არ შეუძლია ასევე მოიქცეს?

სენატორ ნორისმა აღნიშნა, რომ სრულიად დაუსაბუთებელია ის გარემოება, რომ საბჭოთა მთავრობა ცდილობდა წითელი დროშა აეფრიალებინა თეთრ სასახლეზე. საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია პასუხი აგოს პარტიის ცალკე წევრთა ამა თუ იმ განცხადებისთვის.

სენატორ ბორამ განაცხადა, რომ იგი უარს განაცხადებს პროპაგანდაზე საბჭოთა მთავრობის ცნობის სასარგებლოდ იმ შემთხვევაში, თუ იუსტიციის დეპარტამენტი დაამტკიცებს, რომ ჩრდილოეთ შტატებში საბჭოთა მთავრობის რომელიმე წარმომადგენელი აგიტაციას ეწევა ამერიკის მთავრობის წინააღმდეგ. ამავე დროს კონგრესის წევრმა ბრიტენმა შეიტანა წარმომადგენელთა პალატაში წინადადება, რათა სახელმწიფო დეპარტამენტმა და გენერალურმა პროკურორმა წარუდგინონ კონგრესს ყველა დოკუმენტები, რომლებსაც რაიმე კავშირი აქვს კომუნისტურ პროპაგანდასთან ჩრდილოეთ შტატებში. სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ მას სხვა საბუთებიც აქვს კომინტერნის მუშაობის შესახებ ამერიკაში.

იუზი სტყუის

ამხ. ჩიჩერინის განცხადება.

მოსკოვი. 22 დეკემბერი. უცხოეთის ჟურნალისტებთან საუბარში ამხ. ჩიჩერინმა განაცხადა: „მე დაწვრილებით გავეცანი ამხ. ამხ. ზინოვიევთან და სტეკლოვთან ერთად იუზის მიერ გამოქვეყნებულ საბუთებს და ამ საკითხის გარჩევის შემდეგ კატეგორიულად ვაცხადებ ამ ორ მოქალაქის და საბჭოთა მთავრობის სახელით, რომ **ეს საბუთები სრულ სიყალბეს წარმოადგენენ.** იმ შემთხვევაში, თუ იუზი ყოველ პირობის გარეშე უკან არ დაიბრუნებს ამ საბუთებს, წინადადებას ვაყენებ დაევალოს აღნიშნულ საბუთების სისწორის გარჩევა მიუდგომელ სამედიატორო სასამართლოს, რომლის შემადგენლობა დანიშნული იქნება ორივე მხარის შეთანხმებით. თუ იუზი მაზე არ დათანხმდა, იგი დაუმტკიცებს მთელს მსოფლიოს, რომ იგი შეგნებულად გამოვიდა ყალბ საბუთების გავრცელების იარაღათ. ეხლა **იუზზეა დამოკიდებული მის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდების გაბათილება**".

ინგლისში

ვინ რას ამბობს.

ლონდონი. 21 დეკემბ. მოსკოვის პარტიულმა დისკუსიამ კონსერვატიულ პრესას საბაბი მისცა ახალი კამპანიისათვის საბჭოთა მთავრობის ცნობის წინააღმდეგ. **ლიბერალური პრესა კი, პირიქით, აძლიერებს აგიტაციას საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოთ.** ლიბერალური „ვესტმინსტერ გაზეტ"-ი თავის წერილში „ბრიტანეთი იცნობს საბჭოთა მთავრობას"—აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობის პოზიცია ვალების საკითხში სავსებით ნათელია და მისაღები. რუსეთს ესაჭიროება კრედიტები, რომლებიც მას დაუყოვნებლივ უნდა მიეცეს, ვინაიდან რუსეთი სარგებლობს საკმაო ნდობით საქმიან წრეებში. **გაზეთი ამართლებს საბჭოთა მთავრობის დამოკიდებულებას ერთა ლიგისადმი,** ხაზს უსვამს საბჭოთა მთავრობის მშვიდობიანობისადმი მისწრაფებას და აღნიშნავს, რომ **რუსეთის ცნობა აუცილებელ პირობას წარმოადგენს ვალების საკითხის გადასაჭრელად.**

ლიბერალური გაზეთის „სტარ"-ის ცნობით, ოფიციალური წრეები ფიქრობენ, რომ საბჭოთა მთავრობა იცნობს ძველ ვალებს, მაგრამ მოითხოვს იმ ზარალის ანაზღაურებას, რომელიც გამოწვეულ იქნა ინტერვენციით. გაზეთი აღნიშნავს, რომ კონსერვატიული მთავრობის დაცემის შემდეგ საბჭოთა კავშირის ცნობისათვის იქნება გადადგმული მეტად მნიშვნელოვანი და სასწრაფო ნაბიჯები.

თვით კონსერვატიული „ივნინგ სტანდარტ"-ი ემხრობა საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობას.

შვეცია

რუსეთის შესახებ.

სტოკჰოლმი. 21 დეკ. შვეციის ყველა გაზეთებში დაიბეჭდა საუბარი რუსეთიდან დაბრუნებულ სვენ გედინთან, ენგესტრემთან და აშბერგთან. გედინმა განაცხადა: „რუსეთში იფურჩქნება ახალი ცხოვრება. **ისტორიას არ ახსოვს უფრო დიდი გადატრიალება, ვინემ რუსეთის რევოლიუცია. ლენინი ჩვენი დროის უდიდესი კაცია**".

ენგესტრემი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობამ გამოიყვანა ქვეყანა ქაოსიდან და რევოლიუციიდან და დააყენა ის უდიდეს სულიერ და მატერიალურ მიღწევების გზაზე. **დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა მჭიდრო კავშირი უნდა დაიკავონ რუსეთთან.**

აშბერგი აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობის მდგომარეობა ეხლა უფრო მტკიცეა, ვინემ ოდესმე იყო. ეხლანდელი ეკონომიური კრიზისი რუსეთში თანდათან მცირდება: საბჭოთა მთავრობამ შეძლო მრეწველობის პროდუქტების ფასების დაწევა და სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებზე ფასების აწევა, რაც გააძლიერებს გლეხების სყიდვითი უნარს.

გერმანიის მთავრობის „გულწრფელობა"

მიუხედავათ ყვითელ პროფკავშირთა გამყიდველობისა, მუშები არ სთანხმდებიან რვა საათის სამუშაო დღის გაუქმებაზე.

მიუნხენის პოლიციამ აღმოაჩინა შეთქმულება კარის წინააღმდეგ.

გადადგა ბავარიის მიწათმოქმედების მინისტრი.

სამუშაო დღის საკითხი

მუშების პროტესტი.

ბერლინი. 21 დეკ. მიუხედავათ იმისა, რომ მელითონეთა კავშირის პრეზიდიუმმა თანხმობა განაცხადა რურის ლითონის მრეწველობაში 10 საათის სამუშაო დღის შემოღებაზე, ამ მრეწველობის მუშებმა ენერგიული ბრძოლა დაიწყეს სამუშაო დღის გადიდების წინააღმდეგ. **გელზენკირხენში 11 000 მუშამ უარი განაცხადა სამუშაო დღის გადიდებაზე და მხოლოდ 82 მუშამ ხმა მისცა შეთანხმებას. სხვა ქალაქებშიაც მუშები ილაშქრებენ ამ გადიდების წინააღმდეგ** მიულჰეიმში და ობერგაუზენში სამთომადნო მუშებმა უარი განაცხადეს მუშაობაზე, თუ ახალი სამუშაო დღე შემოღებული იქნა. ტისენის წარმოებებში ადმინისტრაციამ აიძულა მუშები მიეღოთ ახალი სამუშაო დღე.

სამხრეთ რეინის საფაბრიკო და საქარხნო კომიტეტების კონფერენციამ ზოლინგენში ტელეგრაფით მოსთხოვა სრულიად გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანებას ენერგიული გალაშქრება 8 საათის სამუშაო დღის შენარჩუნებისათვის. საოკუპაციო ოლქების უმუშევართა კონფერენციამ მოუწოდა წარმოებებში ჩაბმულ მუშებს მედგრათ დაიცვან 8 საათის სამუშაო დღე.

რეაქციის ბანაკში

ბავარიის ლანდტაგში

ბერლინი. 21 დეკ. ბავარიის სახალხო პარტიის მიერ შემოტანილ წინადადების გამო, ბავარიის ლანდტაგის დათხოვნის შესახებ, მთელი გუშინდელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა ფრაქციონული თათბირები.

სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ შეიტანა ლანდტაგის მუდმივ კომისიაში განცხადება, რომელშიაც იწონებს სახ. პარტიის წინადადებას. ლანდტაგის დათხოვნის შემდეგ საარჩევნო კანონი შეცვლილი იქნება დეპუტატთა საერთო რიცხვის განახევრების, საგანგებო მდგომარეობის გაუქმების და პრესისა და კრების თავისუფლების შემოღების მიმართულებით. ვიდრე კომისია საბოლოოდ გაარჩევდეს სოც.-დემოკრატების წინადადებას, ბავარიის სახალხო პარტიამ უკან დაიბრუნა თავისი წინადადება ლანდტაგის დათხოვნის შესახებ.

ბავარიის მიწათმოქმედების მინისტრის გადადგომა.

ბერლინი. 21 დეკ. ბავარიის ავტონომიის გაფართოების საკითხში ბავარიის გლეხთა კავშირის მიერ დაჭერილ პოზიციის გამო, მთავრობიდან გამოვიდა მიწათმოქმედების მინისტრი ბურცენჰოფერი.

კარზე თავდასხმის განზრახვა

ბერლინი. 21 დეკ. ოფიციალური ცნობის თანახმად, მიუნხენის პოლიციამ აღმოაჩინა კარზე თავდასხმის გეგმა. დაპატიმრებულია არტისტი კარტოლდი, რომელსაც, დავალებული ჰქონია კარის მოკვლა.

აჯანყება მექსიკაში

რა ხდება მექსიკაში.

ბერლინი. 22 დეკემ. მექსიკიდან მიღებული ცნობები ერთმანეთს არ ეთანხმებიან. „ტაიმსი" იუწყება ბრძოლის შესახებ, რომელიც 30 საათს გაგრძელდა და აჯანყებულების სრული დამარცხებით დამთავრდა.

რომი. 22 დეკ. რადიო-ტელეგრაფის ცნობით, რომელიც აჯანყებულების მეთაურის ხუერტის ხელში იმყოფება, **მთელი მექსიკა აჯანყებულების ხელშია. მათ [illegible] 40.000 კარგად შეიარაღებული მეომარი.** აჯანყების ცენტრიდან, ვერა-კრუციდან იუწყებიან, რომ აჯანყებულებმა დაამარცხეს მთავრობის ჯარები პუებლოსთან, და ხელთ იგდეს მრავალი ნადავლი და ტყვეები.

ინგლისი და ავღანისტანი.

ინგლისის ულტიმატუმი.

ბერლინი. 22 დეკემბერი. ბრიტანეთის წარმომადგენელმა ავღანისტანში გადასცა ულტიმატუმი ქაბულის მთავრობას. ულტიმატუმი შეიცავს მოთხოვნილებას... (გამოტოვებულია) აღიარების და საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში ინგლისი ავღანისტანს სამხედრო მოქმედების დაწყებით ემუქრება.

მდგომარეობა პოლონეთში

ახალ მთავრობის პროგრამა.

ვარშავა. 21 დეკემბერი. გრაბსკი გამოვიდა სეიმში ახალ მთავრობის პროგრამით. მან აცნობა სეიმს მთავრობის განზრახვა გადასდოს აგრარულ რეფორმის გატარება და შეუდგეს უმთავრესად ფინანსების გაჯანსაღებას, რის გამო სეიმის ხვალინდელ სხდომაზე იგი წარმოადგენს კანონპროექტს მთავრობის უფლებათა გაფართოების შესახებ. კანონპროექტი ძალაში უნდა იქნეს ერთი წლით მაინც, რადგან „ფინანსიური მდგომარეობა იქამდე მივიდა, რომ საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა დაიწყო დასავლეთ-ევროპის სახელმწიფოთა ფინანსიურ მზრუნველობის საჭიროების შესახებ".

საგარეო პოლიტიკის საკითხში გრაბსკი დაკმაყოფილდა აღნიშვნით, რომ ახალი მთავრობა ამ სფეროში მშვიდობიანობის მოყვარეობას დაიცავს.

დისკუსია და ნდობის ვოტუმის გამოტანა გადადებულია შემდეგ სხდომისათვის. ოპოზიციამ გადასწყვიტა თავი შეიკავოს კენჭის ყრისაგან, რათა მისცეს გრაბსკის მთავრობას არსებობის საშუალება.

ვაჭრობა რუსეთთან.

ვარშავა. 21 დეკემბ. მოსკოვიდან დაბრუნებულმა ლოძის მექარხნეთა კავშირის დირექტორმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მოსკოვმა საუცხოვო შთაბეჭდილება დასტოვა მასზე. პავლოვსკიმ აღნიშნა ის სტუმართმოყვარეობა, რომელიც აღმოუჩინეს პოლონეთის დელეგაციას მოსკოვში, და განაცხადა, რომ მოლაპარაკება საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებთან იმედს იძლევა, რომ პოლონეთის საფეიქრო მრეწველობის წარმოებათა ექსპორტი რუსეთში განვითარდება, რაც საშუალებას მისცემს პოლონეთს მიიღოს რუსეთისაგან საჭირო ნედლი მასალა.

დანიშნული 1923 წ. 25 დეკემბერს
საღამოს 6 საათზე სახელმწიფო ოპერის თეატრში
ილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების
მე-4-ე მოწვევის საბჭოს სხდომა.
გადატანილია 1923 წ. 28 დეკემბრისთვის.
300—1—1 **ცენტრალური აღმრჩევი კომისია.**

საფრანგეთის ამბები

მუშათა ბლოკი არჩევნებში.

ი. 21 დეკემბ. საფრანგეთის ტი ლონგე გაზ. „პო- -ში მხარს უჭერს კომუნის- წინადადებას მომავალ არჩევ- მუშათა ბლოკის შესახებ, თუმ- რ ეთანხმება ყველა პროლეტა- ჯგუფების ერთიან ტაქტიკას ნიშნავს, რომ ზოგიერთ დეპარ- ებში ნაციონალისტური ბლო- არცხება შეიძლება მემარცხენე- ლოკით.

ნტანტის დაშლის შიში.

ზი 21 დეკემბ. ასკვიტის უკა- სიტყვას და ბრედბერის ზობას მაკდონალთან საფრან- პოლიტიკურ წრეებში უცხე- **ინგლისის მუშათა პარტიის ხელში ძალა უფლების გადასვლის აუცილებლობის ნიშანს.** ბურჟუაზიული პრესა უსაყვედურებს გერმანიას თავის პოზიციის შეცვლას და ინგლის საფრანგეთის პოლიტიკური კრიზისებით სპეკულიაციას. „პოპიულერ“-ი ფიქრობს, რომ 1924 წლის დასაწყისში **თანხმოება ინგლის-საფრანგეთის შორის გაძლიერდება და ანტანტის დაშლა აუცილებელი გახდება,** თუ მომავალი არჩევნები საფრანგეთში არ გაანთავისუფლებს ქვეყანას ეხლანდელი პარლამენტისაგან, რომელსაც მთელი ევროპა ჰყავს სამხედრო მდგომარეობაში ვერსალის ხელშეკრულების შესრულების საბაბით.

სხვადასხვა

ბულგარეთი.

გარეთის გლეხთა პარტიაში

. 21 დეკემ. ბულგარეთის გლეხ- რტიის ბელადებმა მიაღებინეს ს კონფერენციის რეზოლიუ- რომელიც უარყოფს თანამშრომ- კომუნისტებთან და მოითხოვს ვის მთავრობასთან ბრძოლას დ ლეგალური საშუალებით.

მუნისტების დაპატიმრება.

ნა 21 დეკემბ. ბულგარეთის ნა- ნალურ კრებაში ხელახლა არჩეუ- კომუნისტი დეპუტატი მაქსი- კვლავ დააპატიმრეს.

ჩინეთი.

კაბინეტის გადადგომა.

პარიზი. 21 დეკემბერი. პეკინიდან მიღებული ცნობებით, ჩინეთის მთავრობა გადადგა.

იტალია

იტალიის სოციალისტურ პარტიაში.

რომი. 21 დეკემბერი. იტალიის სოციალისტურ პარტიაში იბრძვის ორი მიმართულება მომავალ საპარლამენტო არჩევნების საკითხში: პარტიის საპარლამენტო ფრაქცია ემხრობა ბოიკოტს არჩევნებისადმი, „ავანტი“-ს რედაქცია მოუწოდებს მონაწილეობის მიღებისაკენ. პარტიის ცეკამ დაადგინა მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ნელ ტუსაღების მდგომარეობა.

კოვი. 22 დეკემბერი. საერ- რისო მუშათა დამხმარე აციების ცენტ. კომიტე- ცნობებით, გერმანიის საპ- ბილეებში მყოფი ტუსაღები სა- ელ გაჭირვებას განიცდიან. ტუ- თა რიცხვი ყოველ დღე იზრდება. ჰამბურგში დახმარებას სა- რებს 4.000 ტუსაღი, 5000 არა- ალურად მცხოვრები კაცი და ტიკურ დევნილთა ოჯახების 0 წევრი.

ოთა კავშირის მონაწილეობა ვენის ბაზრობაში.

22 დეკემბერი. საგარეო რობის სახალხო კომისარიატმა ლად სცნო საბჭოთა კავში- მონაწილეობა ვენის სანიმუშო რობაში. საბჭოთა კავშირის სა- წარმომადგენლობის აზრით, მონაწილეობას ვენის ბაზრობაში მნიშვნელობა ექნება საბჭო- კავშირისათვის, რომელიც ამით ახლოვდება ცენტრალურ ევრო- ბაზრებს.

ოროს აზრით, ყველა ძველმა მევიკმა გასწყვიტა პარტიასთან ირი.

საკურორტო დახმარების გეგმა.

მოსკოვი. 22 დეკემბერი. სრულიად კავშირის პროფკავშირთა წარმომადგენლების თათბირმა გამოიმუშავა დაზღვეულ მუშებისათვის საკურორტო დახმარების გეგმა. თათბირმა საჭიროდ სცნო სანატორიების გამოყოფა ცალკე სამეურნეო ერთეულებათ და შუამდგომლობა აღძრა მთავარ საკურორტო სამმართველოს წინაშე ამ მიზნისათვის საუკეთესო სანატორიების გამოყოფის და საექიმო დახმარების გაუმჯობესებისათვის სათანადო ზომების მიღების შესახებ. საკურორტო ადგილების 75 პროც. შევსებული უნდა იქნეს წარმოებებში მომუშავე მუშებით 5 პროცენტი—[illegible] და 20 [illegible] მოსამსახურეებით და პასუხისმგებელ მუშაკებით.

უკრაინა

ყოფილ მენშევიკთა სრულიად უკრაინის ყრილობა.

ხარკოვი. 22 დეკემბერი. ყოფილ მენშევიკთა სრულიად უკრაინის საორგანიზაციო ბიურო 1 თებერვლისათვის იწვევს სრულიად უკრაინის ყრილობას. უკრაინაში პარტიის ლიკვიდაციაზე მუშაობს 500 ყოფილი მენშევიკი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.
(21 დეკემბერი).

ჩერვონცები — — —	350,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	343,000
ჩეკები —	343,000
დოლარები ეფექტ. —	80,000
ჩეკები —	76.000
ოსმ. ქაღ. ლირა	46 500
იტალიური ლირა	2450
ფრანგული ფრანკი	3675
საბჭ. ფულის ნიშნები	15 ნახ.

მუშკოოპის ფასები.

პური 1 ხარ.—1500 ათ., პური 2 ხარ —1250. ძროხის ხორცი—4,500 ათ. ცხვრის ხორცი—6250 ათ., შაქარი რაფინადი—18,200 ათასი, ფხვნილი შაქარი—11,550 ათ., ვერმიშელი—5250 ათ. ბრინჯი ალდ.—2800. ათ. კარტოფილი—500. ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

პური 1 ხარ.—2500 ათ., პური 2 ხარ.—2000 ათ., ძროხის ხორცი 5—5 ნახ. ცხვრის ხორცი 6—7 მ., შაქარი რაფინ.—19 მ., შაქარი ფხვნილი—13 მ., ვერმიშელი—5500 ბრინჯი ალდ.—3 მ., კარტოფილი—700.

ბირჟის მიწოდება.

სინგაპურის პილპილი; პარაფინი; კაკაო—ზეთი; კაკაო მარცვლოვანი; კვებრახის ექსტრაქტი; მავთული (რბილი); პურის სპირტი (300.000 გრად); შვეიცარიული ყველი; „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია; ბორჯომის ქარხნის პროდუქცია; შაქარი რაფინ. 2 ხარ. ლაგოდეხის თამბაქო; ჩაი; რუს. მანუფაქტურა; კაუსტიკური სოდა; ასანთი რუს. ს. მ. უ. ს. საფეიქრო ტრესტის პროდუქცია (საპონი, ნართავი, ოლიფის ზეთი და სხვ). ცემენტი და ეტერნიტი, მზესუმზირას ზეთი; ქვა-მარ. ნახიჩევანის; მაკარონი და ვერმიშელი 2 ხარ; რკინეულობა; აგური სალომასი.

ბირჟის მოთხოვნილება.

ტეხნიკური ცხიმი; საბზა; ყურაგა; ხორბალი და სხვ. პურეული; ღვინის ბოთლები; „კოჟსინდიკატ“—ის პროდუქცია; შაქარი რაფი და ფხვნილი რუს., სალომასი: მზესუმზირას ზეთი; პორტლანდის ცემენტი; ყუბანის ფქვილი (საკონდიტერო); ჭაჭის არაყი (1.000.000 გრ.). საშენებელი ლურსმნები; ჩაი. ასანთი რუს.

ოფიციალური გარიგებანი.

ქვა-მარილი. ნახიჩევ.—85 და 95 კ. ფუთში ფრანკო—სადგ. ტფილისი გადახდილ აქციზით.

კრასნოდარის ხალამოხი—9 მ., 80 კ., ფუთში, ფრანკო-სად. ტფილისი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

საქონლის ბაზარზე შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება

ვალიუტის ბაზრის საერთო განწყობილება უცვლელია, გარდა დოლარის და ოსმალ. ქაღ. ლირისა რომლების კურსმა ცოტად იმატა.

საქონლის ბაზრის განწყობილება

ხორბლის და პურეულობის ბაზარზე განწყობილება გაცხოველებულია; საქონლის ქონზე, რძის ნაწარმოებზე, შაქრის ბაზარზე და ტეხნიკურ ცხიმებზე—მტკიცეა,

ვალიუტის ბაზრის განწყობილება

ჩერვონცების კურსი სწრაფად ზევით იწევს, აგრეთვე უცხო ვალიუტა. საბჭოთა ფულის ნიშნებს ეტყობა ნელი მომატება.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

19 დეკემბერს ბირჟის გარეშე დადებულია 11 გარიგება, სულ 38939 ჩერ. მან. თანხისა.

ჩერვონცების და ამიერ-კავკასიის ბონების შეფარდება
(21 დეკემბერი.)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 კ.—	350.000,	60 კ.—	21.000.000
2 „—	700.000,	70 „—	24.500.000
3 „—	1.050.000,	80 „—	28.00.0000
4 „—	1.400.000,	90 „—	31.500.000
5 „—	1.750.000,	1 მ.—	35.000.000
6 „—	2.100.000,	2 „—	70.000.000
7 „—	2.450.000,	3 „—	105.000.000
8 „—	2.800.000,	4 „—	140.000.000
9 „—	3.150.000,	5 „—	175.000.000
10 „—	3.500.000,	6 „—	210.000.000
20 „—	7.000.000,	7 „—	245.000.000
30 „—	10.500.000,	8 „—	280.000.000
40 „—	14.000.000,	9 „—	315.000.000
50 „—	17.500.000,	1 ჩერ.	350.000.000

საქონლის მანეთის ახალი კურსი

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატიდან.
აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 1923 წ. 22 დეკემბრისათვის.

ა. კ. სახალხო კომისართა საბჭოს ა. წ. 17 მაისის დადგენილება № 52 ის საფუძველზე ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული კომისია ამით აცხადებს, რომ აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 10 (ათი) მანეთის ფასობის კვალობაზე ა. კ. შრომის სახალხო კომისარიატის საბიუჯეტო ინდექსის მიხედვით ამა წლის 22 დეკემბრისათვის განისაზღვრება—600 000 000 მან.

ამავე რიცხვისათვის საქონლის მანეთის ღირებულება განისაზღვრება —60.000.000 მან.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარი—ლ. დუმბაძე.
[illegible] გამგე—ლ. ქურდოვანიძე.

სვანეთის დელეგაციის ჩამოსვლის გამო

ამ ჟამად ტფილისში იმყოფება სვანეთის დელეგაცია 37 წევრის შემადგენლობით, არჩეული მთელი სვანეთიდან. დელეგაციას დავალება აქვს სვანეთიდან წარსდგეს მთავრობის წინაშე და უთხრას მას გულახდილად თავის ტკივილებზე; გაუზიაროს მას თავის სურვილები და ფიქრები და გააცნოს სვანეთის ეხლანდელი მდგომარეობა. ინტერესს არ იქნება მოკლებული, რომ საქართველოს მშრომელმა ხალხმაც გაიგოს სვანეთის დელეგაციის მიზანი და აქედან შესაფერისი დასკვნა გამოიყვანოს. მით უმეტეს რომ ის, რასაც სვანეთი მოითხოვს მთავრობისაგან, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, როცა მთავრობას მხარში მთელი ხალხი ამოუდგება.

უპირველეს ყოვლისა, რას თხოულობს სვანეთი? გზას, გზას და კიდევ გზას!

წარმოგიდგენიათ ისეთი კუთხე საქართველოში, რომელიც წელიწადში ექვსი თვით არის მოწყვეტილი დანარჩენ ნაწილს? წარმოგიდგენიათ მთელი მაზრა, სადაც არსებობს ადმინისტრაცია, სკოლა, პარტიული მუშაობა, აღმშენებლობა და სხვა, რომელიც ამ ხნის განმავლობაში სრულებით მოწყვეტილია ხოლმე მსოფლიოს კულტურულად, სულიერად და მატერიალურად და სცხოვრობს ისე „ღვთის ანაბარად“ თავისთვის, სადღაც მთებში და კლდეებში? წარმოგიდგენიათ ისეთი მხარე, სადაც უბრალო მამაპაპეული ურემიც კი საოცნებო საგნად გამხდარა და ყველაფერი ადამიანის ზურგით და ცხენით იზიდება?

ამის წარმოდგენა ძნელია, მაგრამ ეს სინამდვილეა. ასეთი კუთხე საქართველოში არსებობს—ეს სვანეთია.

რა თქმა უნდა, სვანეთს დიდი ხანია შეგნებული აქვს თავის გაჭირვება, იცის თუ რა აბრკოლებს და სწევს მას უკან კულტურულად, მაგრამ ღონე არა აქვს თავისი საშუალებით დაახწიოს ამას თავი. სვანეთში გზის გაყვანის ისტორია ახალი არ არის. ამაზედ მუდამ ყოფილა ლაპარაკი, მაგრამ რეალურად არაფერი გაკეთებულა, არც თვითმპყრობელობის და არც მენშევიკების დროს.

მენშევიკებმა თითქოს განიზრახეს ამ გზის გაკეთება და 1919 წელში დელეგაციაც კი გაგზავნეს სვანეთში, მაგრამ როგორც სჩვეოდათ მენშევიკებს ისე მოიქცნენ: გზა დაათვალიერეს, შეჰპირდნენ გაყვანას და საკითხიც ამით ამოიწურა.

საბჭოთა ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სვანეთს.

ჩვენ ამ სამი წლის განმავლობაში საქართველოს მშრომელი ხალხი დავარწმუნეთ ჩვენს ენერგიაში და საზოგადოდ საქმიანობის ყოველივე დარგში, მაგრამ ამ ჩვენი საქმიანობიდან სვანეთს აქამდე ბევრი არაფერი რგებია. ჩვენ სვანეთშიაც შევიტანეთ ჩვენი ენერგია, სვანეთის ტკივილებსაც ისე ვგრძნობთ, როგორც საქართველოს სხვა რომელიმე ნაწილისა, მაგრამ რაც ჩვენ დაგვაკავშირებს და შეგვასისხლხორცებს სვანეთთან—გზა, ამას ჩვენ ჯერჯერობით ყურადღება ვერ მივაქციეთ. ჩვენ ერთხელ და გადაჭრით უნდა დავრწმუნდეთ იმაში, რომ თუ სვანეთში გზა არ შევიდა, ყოველივე ჩვენი დაპირებანი, ცდა, ტკბილი სიტყვები და სურვილები მხოლოდ ცარიელი სიტყვებია. თუ სვანეთი კულტურულად, სულიერად და მატერიალურად ჩამორჩენილია საქართველოს დანარჩენ კუთხეს ეს მხოლოდ და განსაკუთრებით უგზაობის მიზეზით არის. რა გასაკვირველია, რომ სვანეთში სკოლა არ იყოს? რა გასაკვირველია, რომ სვანეთს არ ჰყავდეს მასწავლებელი, ექიმი, საკმაო პარტიული და საბჭოთა მომუშავენი. ვინ გასწირავს თავს ისე, რომ აქედან წავიდეს იქ დარწმუნებული იმაში, რომ ოქტომბრიდან ვიდრე აპრილის შუა რიცხვამდე გაზეთს ვერ დაინახავს, რომ ის მოკლებული იქნება ყოველივე კულტურულ საზრდოს და ისეთი საჭირო ნივთები, როგორც მარილია, ნავთი და სხვა სანატრელ ხილად გადაექცევა. არა თუ აქედან წავიდეს ვინმე, არამედ თვით ადგილობრივ მკვიდრს, ინტელიგენტს უჭირს იქ დარჩენა და ისიც აქეთკენ მოეშურება. აი ეს არის სავალალო და საჭირბოროტო. ამისათვის ერთხელ კიდევ უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ არავითარ კავშირზე სვანეთთან არ შეიძლება ლაპარაკი, სანამ იქ გზა არ შევა.

გზის საკითხი კი ყოველ შემთხვევაში ნაწილობრივ გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს. ის გზა, რომელიც ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, უნდა გასულიყო სოფ. ჯვარიდან (ზუგ. მაზ.) 140 ვერსის მანძილზე სვანეთის ცენტრში სოფ. ბეჩომდე. ვისაც ეს გზა—დაუთვალიერებია, გადმოგვცემენ, რომ მეტის-მეტად კარგ ადგილებზე გადიოდა და ნორმალური აღმართ-დაღმართი აქვს. განზრახული იყო საეტლე გზა 10 არშინი განით. მუშაობა გაჩაღდა და რამოდენიმე ვერსზე გზა კიდეც გავიდა, მაგრამ ახლა ეს გაკეთებული გზაც მოშლილია და წამხდარი უპატრონობის და მოუვლელობის გამო. ამ ადგილას არის ეხლა მხოლოდ საცალფეხო გზა, მაგრამ ვაი ასეთ გზას. ისეთი ადგილები არის იქა-აქ, რომ მხოლოდ ბაწრებისა და რკინის კავების საშუალებით შეიძლება აფორთხდეს კაცი კლდეებზე და ხრამებზე. იშვიათია ისეთი წელიწადი, რომ ამ სახიფათო ბილიკებზე რამოდენიმე კაცი არ დაიღუპოს. ცხენების დაღუპვა ხომ ჩვეულებრივი შემთხვევა არის. სვანეთს აქვს კიდევ მეორე გზა ცაგერიდან (ლეჩხუმის მაზრა), მაგრამ ეს გზა კიდევ ამაზე უფრო ცუდია. ცაგერიდან მგზავრობა შემოდგომაზე და ზამთარში ადამიანის ღონეს აღემატება. იქიდან სვანეთი ამ დროს იკეტება ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და იღება მხოლოდ შუა გაზაფხულზე. განზრახულ გზას მოსახლეობა თუმცა ცოტა ახლავს, მაგრამ გარშემო ისეთი მდიდარი ბუნება აკრავს, რომ ადამიანის ფანტაზიას აღემატება. თავისთავად სვანეთი ხომ ძვირფასი მარგალიტია, რომლის ბუნებრივი სიმდიდრე გაუზომელია. შესანიშნავი ტყე განსაკუთრებით ფიჭვნარი და ნაძვნარი, რომელიც ჰფარავს სვანეთის მთელ მიდამოს; ძვირფასი მადნეულობა—სპილენძი, ვერცხლი, ტყვია, თუთია, ქვანახშირი და სხვა; ძვირფასი მინერალური და სამკურნალო წყლები—გოგირდის, რკინის, მჟავე და სხვა მრავალნაირი; შესანიშნავი ალპისებური საბალახოები, რომელიც განუსაზღვრელ შესაძლებლობას აძლევს სვანებს მესაქონლეობა დაიწყონ და რძის წარმოება გააჩაღონ. ყველა ეს უამრავი სიმდიდრე სძევს იქ ათასი წლობით და ასევე იქნება მანამ, სანამ იქ გზა არ შევა. მიუხედავად ასეთი სიმდიდრისა, სვანი არის ჩამორჩენილი კულტურულად, ქონებრივად, გაუნათლებელი, რომელშიაც სასტიკი [illegible] გადგმული აქვს ფესვები ათასგვარ ცრუმორწმუნეობას, მკითხაობას და სხვა ამგვარ სიბნელეს. ეს უკულტურობა არის იმის მიზეზი, რომ სვანეთში სისხლის აღება, ამ ნიადაგზე მკვლელობა და საშვილიშვილო შურისძიება ვაჟკაცობად და სახელად ითვლება. სვანეთი ამ ჩვეულებამ სასტიკად დასცა. ეს არის მიზეზი, რომ სვანს ამ უკანასკნელ ხანამდე სამეგრელოში ჩამოსვლა ეშინოდა და მეგრელს კიდევ სვანეთის საზღვრებზე ფეხის გადადგმა. საკმარისი იყო სვანს მეგრელისათვის სვანეთში მოესწრო, რომ მკვლელობა მომხდარიყო. ასეთი დამოკიდებულება არის ეხლა ყარაჩასთან (ჩრდილოეთ კავკასია), რომელთანაც სვანეთს დიდი ეკონომიური კავშირი აქვს. იქაც თავდასხმის ნიადაგზე მკვლელობა მოხდა და ამას მოჰყვა შურისძიება და სისხლის აღება. ადმინისტრაცია რათქმა უნდა ებრძვის ამ მოვლენას, მაგრამ, რასაკვირველია, ამ საუკუნოებით ჩანერგულ ჩვეულების ადმინისტრატიული ზომებით მოსპობა არ შეიძლება. მით უმეტეს უნდა ავღნიშნოთ, რომ ადმინისტრაციის დიდი უმრავლესობა აქედან ჩასული ხალხისაგან შესდგება, რომელთაც არ იციან ადგილობრივი ზნე-ჩვეულებანი და ხშირად ამის გამო სვანებს ვერ ეგუებიან. აუცილებლად საჭიროა ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება მიექცეს და ადმინისტრაციაში ვეცადოთ ადგილობრივი მცხოვრებლები შევიდნენ. ამითი ჩვენ უფრო დავიახლოვებთ სვანეთს ეჭვს გარეშე და მოვსპობთ ყოველგვარ გაუგებრობას.

გზის გაყვანა ჩვენგან დიდ ხარჯს და ენერგიას მოითხოვს, [illegible] ჭირდება მთელი ჩვენი [illegible] დაძაბვა, მაგრამ ეს გზა [illegible] მორიგ და ერთ-ერთ [illegible] ფრონტად უნდა გადავაქციოთ. აქეთ უნდა მივიტანოთ ჩვენ მთელი ძალღონით იერიში და რაც არ უნდა დაგვიჯდეს, ეს გზა გაყვანილი უნდა იქნეს. ჩვენ არ შეგვიძლია, რომ ეხლა სვანები უკან ხელცარიელი გავისტუმროთ. რათქმა უნდა, საქართველოს მთავრობას ამ დიდი საქმის მოგვარების დროს მხარში უნდა ამოუდგეს მთელი მშრომელი ხალხი და ვისაც რით შეუძლია დახმარება აღმოუჩინოს. საჭიროა დაარსდეს ერთ-ერთ ავტორიტეტულ დაწესებულებასთან სპეციალური „სვანეთის საგზაო კომისია“, რომელიც უნდა ჩაუდგეს სათავეში ამ დიდ საქმეს. სვანეთი ხელს გვიწოდებს, სინათლეზე გამოსვლას გვთხოვს. ჩვენც პასუხი უნდა გავსცეთ.

ა. კალანდაძე.

მეცნიერება და ტეხნიკა

„13 წელიწადი აზიაში“.

9 დეკემბერს, მოსკოვში ჩავიდა ცნობილი შვედი მოგზაური სვენ გედინი, რომელიც აზიაში და ამერიკაში მოგზაურობის შემდეგ ბრუნდება სამშობლოში.

12 დეკემბერს, აღმოსავლეთის შემსწავლელ სრულიად რუსეთის სამეცნიერო ასოციაციის კრებაზე სვენ გედინმა რუსულ ენაზე გააკეთა მოხსენება „აზიაში 13 წლის მოგზაურობის შესახებ“.

სვენ გედინმა მსმენელებს ცოცხალი ფერებით დაუხატა უდიდესი მატერიკის მომაჯადოვებელი, თვალწარმტაცი სურათები.

აზიის შესწავლაში და გამოკვლევაში დიდი დამსახურება მიუძღვის რუს მეცნიერებს და მკვლევარებს: პრჟევალსკის, გრუმგრჟიმაილოს, ობრუჩევს, პევცოვს, რობოროვსკის, ბოგდანოვიჩს და პ. კ. კოზლოვს, რომლებმაც დიდი შრომა დახარჯეს აზიის „დიდი მშრალი მდინარის“,—სილის და ქვიშის იმ თვალუწვდენელი ზღვის შესასწავლად, რომელიც გაჭიმულია უდაბნო გობიდან—აღმოსავლეთ თურქესტანით—სპარსეთით—მესოპოტამიით— სინაით—საჰარით—ატლანტიის ოკეანეს ნაპირებამდი.

1894—97 წ., როცა სვენ გედინი სწავლიდა ამ დიდ მშრალ მდინარეს, მან იმოგზაურა აღმოსავლეთ თურქესტანის მიუწვდომელ უდაბნოში—ტაკლა-მაკანში, მდინარე ტარიმის და ტბა-ლობ-ნოორის რაიონში.

ტაკლა-მაკანის უწყლო უდაბნოში მოგზაურობის დროს, სვენ-გედინი თავისი ოთხი მხლებელით და 8 აქლემით კინაღამ დაიღუპა. სამი მისი მხლებელი, ადგილობრივი მცხოვრებლები, მოკვდნენ უწყლობის გამო. დაიხოცნენ ყველა აქლემები. თვით სვენ გედინმა ერთი დარჩენილი მხლებლით ხოხვით მიაღწია მდინარე ტარიმის ნაპირამდი და დაიკმაყოფილა წყურვილი, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში სტანჯავდა მას.

— მე არასოდეს არ მისვამს იმდენი წყალი, რამდენიც მაშინ,—სთქვა სვენ გედინმა.

ამ მოგზაურობის წყალობით, სვენ გედინმა გააკეთა რამდენიმე მეცნიერული აღმოჩენები, რომლებმაც შეავსეს პრჟევალსკის და სხვ. მეცნიერების შრომები.

5 წლის შემდეგ სვენ გედინმა ზამთარში გადაჭრა აღმოსავლეთ თურქესტანის უდაბნოს მეორე ნაწილი და აღმოაჩინა აქ ორი ძველი ქალაქის ნანგრევები, სადაც რამდენიმე მეტად ძვირფასი ისტორიული ნაშთები იპოვა. აქვე აღმოაჩინა მან მდ. ტარიმის ძველი კალაპოტი და ტბა ლობ-ნოორის ძველი ფარგლები.

ნანგრევებში თხრის დროს აღმოჩენილი იქნა 157 ხელთნაწერი ჩინურ ენაზე. ამ ხელთნაწერების გარჩევა შუქს ფენს ამ მხარის ისტორიას, რომელსაც წარსულში ძლიერ მაღალი ბუდდისტური კულტურა და ინდოეთთან ფართე სავაჭრო და კულტურული ურთიერთობა კავშირი ჰქონებია.

Коллекция [illegible]

ქრონიკა

— **წყალსაზომების შეკეთება.** წინადადება მიეცა წყალსადენის დირექტორს ქალ. კომ. განყოფილებას დაჩქარებით წარმოუდგინოს წყალსაზომების კაპიტალური და საშუალო შეკეთებათა კალკულიაცია და წყალსაზომთა ღირებულება.

— **ტანისამოსი ქართულ ცხენოსან ლეგიონს.** ქართულ მსროლელ დივიზიის სამხედრო კომისარის შუამდგომლობის თანახმად, ქალაქის აღმასკომმა დაადგინა ქართულ ცხენოსან ლეგიონისათვის ტანისამოსის შესაძენათ გადასდოს 150 ჩერვონეცი.

— **ქალაქის სასწორები.** ქალ. აღმასკომმა დაადგინა გააუქმოს დადგენილებები №№ 9 და 35, და გამოსცეს ახალი სავალდებულო დადგენილება, რათა ქალაქის სასწორებზე აწონვა ხდებოდეს სურვილისამებრ და არა როგორც სავალდებულო.

— **ახალი წიგნი.** გამოვიდა ნ. ბუხარინის შრომა „ისტორიული მატერიალიზმის თეორია“ თარგმანი პროფ. შალვა ნუცუბიძისა. გამოცემა სახგამომცემლობის.

— **გადამდები სნეულებანი.** ნოემბრის განმავლობაში რკ.გ. მთავარ საავადმყოფოს მიერ აღნიშნულია 174 გადამდებ სნეულებით ავადმყოფობის შემთხვევა.

— **მატარებლების სიჩქარის მომატება კახეთის რკინის გზაზე.** ა. კ. რკინის გზის სამმართველომ გადასწყვიტა კახეთის რკინის გზაზე მატარებლის მოძრაობა გაადიდოს საათში 25 ვერსის გავლით.

— **საგლეხო კომიტეტების კვირეული.** სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის თაოსნობით დუშეთის მაზრაში ახლო ხანში მოეწყობა საგლეხო კომიტეტების კვირეული. კვირეულის მიზანია ადგილობრივ მცხოვრებთ გააცნოს საგლეხო კომიტეტების მნიშვნელობა და იდეა.

— **დახმარება წითელ-არმიელების და ქვრივ-ობლების ოჯახებს.** გურიაში საგლეხო კომიტეტებთან მოეწყო სპეციალური ორგანოები,

საბჭოთა აღმშენებლობა რაჭის მაზრაში

(დასასრული. იხ. კომ. № 293)

სახალხო განათლების საქმე

განათლების დარგში მუშაობის სა- თო დახასიათება უკვე ზევით გვქო- ა აღნიშნული. აქ მოვიყვანთ უფ- დაწვრილებით ცნობებს.

შეკეთებულია შემდეგი სკოლები ქლია ღელის 7 წლიანი შრომის ლა, პატარა ონის, ქ. ონის, სად- ლის, ქ. ონის ტეხნიკუმი და ველე- პირველ საფეხურიანი შრომის ლა.

ული ახალი შენობები და გაუკეთ- კაპიტალური რემონტი შემდეგ ლებს:

ამბროლაურის 7 წლიან შრომის ლას, ნაკიეთის, პირველ საფეხ. მის სკოლას, საკაოსას, შქმერისას, ხეთისას, ფუტიეზისას, ღვიარი- ბოსტანისას, ბეთლევისას.

გადაუმეტებლათ შეიძლება ითქვას, რაჭაში არსებულ ძველ და ახალ ებში მეცადინეობისათვის დაბ- ლებები აღარ არსებობს შენობე- უვარგისობის გამო, როგორც ეს წარსულ წლებში.

აღსანიშნავია, რომ წელს მეტად მოწაფეთა რაოდენობა; ნანდელ წელთან შედარებით მო- თა რიცხვი გაიზარდა 35 პროც. ავიდა 7059 დე. ამასთან ერთად რომა მასწავლებელთა შტატის ება 31 გაცით მაინც. წელს ვლებელთა უყოლობის გამო ონის რაიონში (ასეთი რაიო- კი ექვსია) სკოლის გარეთ დარ- ბავშვთა რაოდენობა 1200 ვს. რაც შეეხება სწავლა აღზრ- საქმის მეორე მხარეს სახელდობრ, ებში შრომის პრინციპების შე- ს, ეს მუშაობა ძალზე კოჭლობს; როა სკოლებთან სახელოსნოების ობა და მაზრაში ერთი სამეურ- სასწავლებლის გახსნა მაინც.

ადგილობრივ ტეხნიკუმებში მოწ- იქნა აღმასკომის მიერ სამი წავლებელი. ტეხნიკუმში სწა- განათლების საქმე სასურველად დაყენებული. სამწუხაროდ წელს ნიკუმის მასწავლებლებმა დასტო- ონი და გადაბარგდნენ ქ. ტფილისში, ტეხნიკუმი დარჩა უმასწავლებლოთ. საჭირო შეიქნა დიდი ენერგიის დახარჯვა სხვა მასწავლებლების მოსაწვევად. უმთავრესი დაბრკოლება აქ ის იყო, რომ ჩვეულებრივ ჯამაგირში მასწავლებლები არ თანხმდებოდენ მაზრაში წამოსვლაზე და მოითხოვდენ ორმაგ ჯამაგირს. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება აღმასკომს არ შეეძლო. მან მიმართა განათლების კომისარიატს, რომელიც გამოგვეხმაურა ამ საქმეში და დაგვპირდა მოწვეულ მასწავლებელთათვის ჯამაგირის 50 პროც. დამატებას. ამნაირად ტეხნიკუმი გადარჩა დახურვას და დღეს იქ სწავლა გაცხოველებულათ მიმდინარეობს. ეს არის უმთავრესი, რაც გაკეთდა სწავლა განათლების დარგში. მომავალში, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ მოსწავლეთა წიგნებით და სხვა სამოსწავლო ნივთებით მომარაგებისათვის და მოწაფეების ულარიბესი ნაწილის შემოსვლისათვის.

ჯანმრთელობის განყოფილება.

ჯანმრთელობის განყოფილების მუშაობის დასახასიათებლად საკმაოდ ვთვლით შევჩერდეთ მხოლოდ ფაქტიურ მხარეზედ, რადგან მისი საერთო მდგომარეობა უკვე ზოგად მოხსენებაში იყო აღნიშნული.

მაზრა დაყოფილია 6 რაიონად; ორ უბანში, ონში და ამბროლაურში არსებობს საავადმყოფო, (ჭელია ღელე და ბუგეულში) საექიმო პუნქტები, დანარჩენ სამ რაიონში კი მხოლოდ საფერშლო პუნქტები.

მთავარი საავადმყოფო, რომელსაც სამაზრო ხასიათი აქვს, მოთავსებულია ქ. ონში. საავადმყოფოში არის ქირურგიული განყოფილება, შინაგანი და მწვავე სახადით შეპყრობილთათვის 5 საწოლით, აგრეთვე მიიღებიან მშობიარენიც. საავადმყოფოს აქვს პატარა ლაბორატორია, რომელიც ვერ აწარმოებს ყოველგვარ ბაქტერიოლოგიურ მუშაობის შესრულებას, მაგრამ ისეთი ანალიზი, როგორც შარდის, ნახველის, განავალის, კუჭის წვენის და მიკროსკოპით სისხლის შესაძლებელია და კიდევაც სწარმოებს.

მწოლიარე ავადმყოფები 1922—1923 წ. ონის საავადმყოფოში იყო 605, ამბულატორიაში ოპერაციები უკანასკნელ 6 თვეში იყო გაკეთებული დიდი 27, პატარა 47 სულ 74. ამბროლაურის საავადმყოფოს აქვს ქსენონის ხასიათი, იქ არის 10 საწოლი, რომლებიდანაც საერთოდ დაკავებულია 3.

1922 წ. ონის საავადმყოფოსთან იყო გახსნილი კბილის საექიმო კაბინეტი.

განყოფილებას საანგარიშო ხნის განმავლობაში აწარმოებდა ბრძოლა სხვადასხვა მოარულ სენიან, როგორც ყვავილი, შებრუნებითი პარტახტიანი სახადი, ციმბირის წყლული და სხვა. 1922 წ. განყოფილებამ აღმოაჩინა ორ სოფელში საეჭვო შემთხვევები ხოლერის, სულ შემთხვევებით იყო 9, დროზედ მიღებული ზომებით საბედნიეროთ ეს საშიშროება აცდენილი იყო თავიდან და ეპიდემია მოსპობილი იქმნა მაშინვე, როგორც კი აღმოჩნდა.

ციება-ცხელება.

წინა წლებში მალარია რაჭის მაზრაში იშვიათი შემთხვევა იყო, და გასულ 1922 წ. კი მიიღო ეპიდემიური ხასიათი: განყოფილება ცდილობდა შეედგინა სტატისტიკური ცხრილი მალარიის გავრცელების შესახებ უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში, მაგრამ ტეხნიკური მიზეზების გამო, ეს სურვილი ვერ განხორციელდა; დაახლოვებით 1920 წ. ითვლებოდა—499 ავადმყოფი, 21 წ.—781—1923 წ. კი 1893.

აღმოჩენილია მალარიის გამავრცელებელ პარაზიტთა [illegible] ტროპიკული ფორმის პარაზიტი. მალარიის გავრცელებას და სიკვდილიანობის პროცენტის გადიდებას რაჭაში ხელს უწყობს ქინაქინის საკმაო რაოდენობის უქონლობა, მისი საშინელი სიძვირე და მასთან ხალხის სილატაკე. განყოფილებიდან სამაზრო აღმასკომის ხარჯით იყო მივლინებული ორი ექიმი სამალარიო კურსებზე, სადაც მათ სპეციალურად შეისწავლეს საკითხი.

სოფლის ღარიბ-ლატაკთ ემლევათ საექიმო დახმარება სამაღმასკომის ხარჯზე; ონის საავადმყ. რამდენიმე საწოლია აღმასკომის ხარჯზე, რომლებიდანაც სამი მუდმივად დაკავებულია, ესე იგი თვეში 90 დღე. ამბროლაურში ერთი საწოლია აღმასკომის ხარჯზე. გარდა ამისა, აღმასკომი ანაღდებს იმ დეფიციტს, რომელიც საავადმყოფოებს მოუდის სხვა ავადმყოფებისათვის წამლების შეძენაში, ვინაიდან მწოლიარე ავადმყოფების მიერ გადახდილი ფული მხოლოდ კვება-სისუფთავეს თუ აკმაყოფილებს. ამგვარათ სამაღმასკომის დახმარება სოფლის ღარიბ-ლატაკების საექიმოთ უდრის ყოველთვიურად თითქმის სამ მილიარდს, გარდა იმისა, რომ ჯამაგირს საექიმო პერსონალს იგივე აღმასკომი აძლევს. ჯანმრთელობის საქმის ცოტათ თუ ბევრათ მოსაწყობათ რაჭაში მიღებულ იქნეს შემდეგი ზომები.

ამჟამად არსებული ორი საავადმყოფო (ერთი ონში და მეორე ამბროლაურში) უნდა იქნეს გაფართოებული იმდენათ, რომ პირველში იქნეს 30 საწოლი, ხოლო მეორეში 10: დღევანდელი საფერშლო პუნქტები უნდა გადაკეთდეს საექიმო პუნქტებათ და აუცილებლათ უნდა მოემატოს ერთი საექიმო პუნქტი ზემო რაჭაში (ღებში და ჭიორაში). საავადმყოფოებს ამგვარათ გაფართოვება მოითხოვს სათანადო ბინებს; ამ მხრივ კი უფრო კარგ მდგომარეობაშია რადგან აღმასკომი უკვე შეუდგა ყოფილი „ჩონი“-ს შენობის კაპიტალურ რემონტს და ეს სახლი სავსებით საკმარისი იქნება. აუცილებელია მხოლოდ მესამე ექიმის (გინეკოლოგის) მოწვევა; რაც შეეხება ამბროლაურს, საავადმყოფოს უნდა გაუკეთდეს კაპიტალური რემონტი, რომლის ხარჯთ-აღრიცხვა უკვე შედგენილია 11,315 ჩერვ. მან. ამ საავადმყოფოს უნდა მოემატოს ერთი ექიმი.

აუცილებელი საჭიროა ონის საავადმყოფოში იქნეს 10 უფასო საწოლი. ამბროლაურის საავადმყოფოში კი 5 საწოლი; უმთავრესი მიზანი, რომელსაც როგორმე უნდა მივაღწიოთ,—ეს არის საკუთარი აფთიაქის გახსნა ონის საავადმყოფოსთან. მალარიასთან ბრძოლას წარმოების მიზნით საჭიროა ქინაქინის საკმაო რაოდენობით მიწოდება.

ტყეების ექსპლოატაცია.

1922 წლის მარტში რაჭის სამაზრო აღმასკომს გადაეცა ყოფილი ხე-ტყის ქარხანა ყიფიანისა ტფილისში.

15 აპრილისათვის ეს ქარხანა იყო დაშლილი და გატანილი ტფილისიდან ტყიბულში. სამაზრო აღმასკომმა ქარხნის ასაშენებლათ ხარისთვალზე სესხის სახით მიიღო 1000 არშინი სხვადასხვა მანუფაქტურა და 1000 ფუთი სიმინდი ნაქერალას გზის თანხიდან. ქარხანამ დაიწყო მუშაობა მხოლოდ 1922 წ. პირველ ნოემბრიდან.

იქ, სადაც წინად იყო მხოლოდ უბრალო [illegible], ეხლა გაშენებულია სამრეწველო ცენტრი, სადაც გაისმის ქარხნის გუგუნი; ეს რევოლუციის ზარი და კულტურის კერა, აღმასკომმა მიიღო ენერგიული ზომები და 8 სექტემბერს 1922 წლის სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა მისცეს რაჭის მაზრის აღმასკომს განსაკუთრებული უფლება მაზრის ტყეების ექსპლოატაციისა. ქარხნის მოწყობის და ტყეთა ექსპლოატაციის განსაკუთრებულ უფლების მიღების შემდეგ მაზრის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა ტყეთა ექსპლოატაციის საქმე მიენდო განსაკუთრებულ კოლეგიისათვის, რომელშიაც შევიდნენ ა. კობახიძე, ა. ყრუაშვილი და პ. ბაქრაძე. ნოემბრიდან დაწყებული 1-ლ მარტამდე კოლეგიას არ ჰქონდა არც ერთი კაპიკი; მუშა-მოსამსახურეებმა არ იცოდენ თავისი ჯამაგირის რაოდენობა და მუშაობდენ მომავალის ყოველგვარი კეთილდღეობის იმედით.

მაზრის აღმასკომმა ტყეთა ექსპლოატაციის საჭიროებისათვის ძირითადი სამრეწველო თანხის გამოძებნის ბევრი ცდის შემდეგ 1923 წ. 4 იანვარს დასდო ხელშეკრულება, უმაღლეს სამეურნეო საბჭოსთან, რომლის თანახმადაც ამ უკანასკნელს უნდა მიეცა კოლეგიისათვის ათი ათასი მანეთი ოქროთი—ორი თვის განმავლობაში; კოლეგია კი მისცემდა ამ თანხის ანგარიშში დიდ ზომის მორებს აზერბეიჯანის ნავთის სამრეწველო სამმართველოსათვის. ეს იყო პირველი თანხა, რომელიც კოლეგიას უნდა მიეღო თავის საჭიროებისათვის, ამ ხელშეკრულებით კოლეგიის სალარომ დაიწყო ფულის და საქონლის მიღება მხოლოდ 1923 წ. თებერვლიდან და უკანასკნელათ კი მიიღო 23 აპრილს ე. ი. ორი თვის მაგივრად გასტანა 4 თვემ. უმაღლესი სახალხო სამეურნეო საბჭო აძლევდა კოლეგიას იმას, რაც თვითონ ჰქონდა და არა იმას, რაც კოლეგიას სჭირდებოდა. 27 თებერვლიდან 1-ლ აგვისტომდე ე. ი. 5 თვის განმავლობაში კოლეგიამ აიღო კიდევ ვალი ფულათ და საქონლათ ქართულ ბანკისაგან, რუსულ ბანკისაგან, ცეკავშირისაგან და უმაღლეს ეკონომიურ წარმომადგენლობისაგან რუსეთში. ღირებულება ვალათ აღებულ ფულისა და საქონლისა უდრის ჩერვონცების ანგარიშით 31,709 მან. 63 კ. ეს არის კოლეგიის მთელი ვალი და სწორი ძირითადი სამრეწველო თანხა, რომლითაც კოლეგიამ დაიწყო თავისი მუშაობა. 1-ლ ნოემბრისათვის კოლეგიამ მიიღო 31,709 მ. 63 კ. და დახარჯა 952 მ. 22 კ. ჩერვონცების ანგარიშით და 19,427,428,734 მან. ამიერ-კავკასიის ბონებით.

კოლეგიის საჭიროებისათვის დაბეჭდილი იყო 2,687 ძირი ხე. იმის დასასურათებლათ, თუ როგორი სიფრთხილით ხდება ტყის ექსპლოატაცია, საკმაოა ავღნიშნოთ, რომ ამ 2,687 ხიდან ერთი ხის საშუალო ზომა გულის სიმაღლეზე შეადგენს მინიმალურათ 19 ვერშოკს. ეს ცნობა აქარწყლებს რაჭის ტყის დაღუპვის ყოველგვარ შიშს. 19 ვერშოკის ხის მოჭრა არ შეიძლება ჩაითვალოს ტყის საზიანოდ. ეს არის ტყის მხოლოდ გაწმენდა გადაბერებულ და დამპალ ხეებისაგან.

საკუთარ ხე-ტყის დამზადებას კოლეგია აწარმოებდა ნიკორწმინდის, უწერისა და სადმელის აგარაკებში. უწერაში დამზადებულ 2170 მორიდან ტყეში დარჩენილია 510 მორი, დანარჩენი 1660 მორი კი ჩატანილია ქუთაისში და გაყიდული რკინის გზაზე. ყველა ამ 1660 მორში ხელშეკრულების თანახმად რკინის გზისაგან ერგება კოლეგიას დაახლოებით 35,000 მან. ჩერვონცების ანგარიშით. ღირებულება მორების, რომელიც დარჩა ტყეებში, უდრის 3940 მ. 6 კაპ. ხარისთვლის ხე-ტყის ქარხანამ დღიდან მუშაობის დაწყებისა 1-ლ ნოემბრამდე დახერხა 76,199 სავაჭრო ვერშოკი. ამას გარდა ხარისთვალზე აშენებულია დიდი ხის შენობა თვით ქარხნისათვის, მუშებისათვის აშენებულია ერთი სახლი, ორ სართულიანი სახლი ქარხნის კანტორისათვის და საწყობისათვის, საწყობი ტყიბულში. ყველა ამ შენობებზე დახარჯულია დაახლოებით 15,000 სავაჭრო ვერშოკი, რომლის ღირებულება უდრის დაახლოვებით 7,500 მანეთს, ამგვარათ პირველ საოპერაციო წლის განმავლობაში უნდა ჩაირიცხოს კოლეგიის აქტივში შემდეგი.

ქუთაისში ჩატანილი მორები 35 ათასი მან., ქარხანაში დახერხილი მასალა 38,099 მ. 50 კ. და ტყეში დარჩენილი და რიონის პირზე გატანილი 3,940 მან. 6 კ. სულ 77,039 მან. 56 კაპ.

პასივში კი უნდა იყოს ნაჩვენები: ვალი 31,709 მან. 63 კ. და ტყის ბაჟი (დაახლოვებით) 15,000 მან. სულ. 46,709 მ. 63 კ.

მაშასადამე კოლეგიის მოგებათ შეიძლება ჩაითვალოს 30,329 მან. 93 კ. და ყველა ის შენობები, რომელიც აგებულია კოლეგიის მიერ.

საფინანსო დარგში.

საფინანსო განყოფილებები სამაზრო აღმასკომებთან (რევკომებთან) დაარსებულია ს. ს. ს. რ. კომიტეტის 1922 წ. 5 თებერვლის დებულებით. ჩვენს მაზრაში ფაქტიურად მან 1922 წლის აპრილიდან დაიწყო მუშაობა.

ამ განყოფილების მუშაობა შემდეგში გამოიხატება: ა) სამაღმასკომის და მისი განყოფილების ბუხგალტერიის და სალაროს წარმოება, ბ) წლიურ საკვარტალო და საგანგებო ხარჯთაღრიცხვების შედგენა, გ) ადგილობრივ გადასახადების და ანარიცხების მეთვალყურეობა, როგორც გაწერა, ისე აკრეფა და დ) წლიური და პერიოდიული მოხსენება-ანგარიშების წარდგენა იმ ბრუნვის მიხედვით, რაც ჰქონდა მას ამა თუ იმ ხნის განმავლობაში. უმთავრესი ყურადღება ხარჯთ-აღრიცხვების სიფრთხილით შედგენას და საზოგადოთ შემოსავალ-გასავლის და კერძოთ გადასახადების მოგვარებას აქვს მიქცეული, ვინაიდან საფინანსო დარგის საძირკველი ეს არის.

ჩვენი შემოსავალ-გასავლის და ხარჯების ხასიათის დასასურათებლად საჭიროთ ვთვლით მოვიყვანოთ მიმდინარე წლის ბრუნვა, რგვალ ციფრებში.

1923 წ. იანვრიდან 1 ნოემბრამდე შემოსავალი შეადგენდა სულ 77.530 000 000 მან საიდანაც დახარჯულია 77.180 000.000 მ.ნ.

აღნიშნული შემოსავალი ამნაირად ნაწილდება: 1) ადგილობრივი გადასახადები და კომუნალურ წარმოებათა (გადასახადი) შემოსავალი 6 400.000 000 მან., 2) ადგილობრივ და სახელმწიფო გადასახადების ანარიცხი 13 350 000.000 მან. და 3) ხაზინიდან მიღებული დახმარება (დოტაცია) 57 780 000 000 მან.

აქედან სჩანს, რომ ადგილობრივი შემოსავალი (6 400 000 000) შეადგენს მთელი შემოსავლის მხოლოდ 0,08 პროცენტს ანუ, დაახლოვებით ერთ მეთერთმეტეს; ამას, რომ ანარიცხებიც მიუმატოთ (13.530 000 000) იმ შემთხვევაშიაც ადგილობრივი შემოსავალი და ანარიცხები (6 400.000.000 13 350 000.000 = 19.750.000 000) მოგვცემს მთელი შემოსავლის მეოთხედს, ხოლო დანარჩენ სამ მეოთხედს ხაზინა ფარავს დოტაციის სახით.

ამავე ხნის განმავლობაში, ე. ი. იანვრიდან ნოემბრამდე, დახარჯულია 77.180.000 000 მან., რაც შემდეგნაირად ნაწილდება:

1) სამაღმასკომის და ყველა მისი განყოფილებების შენახვა (ჯამაგირი ტრანსპორტი, საკანცელარიო სამეურნეო და სამგზავრო ხარჯები) 37.850.000.000. თემების შენახვა—16,200.000 000. გამასწორებელი სახლი—1.190.000.000. კომუნალური მეურნეობა—4.980.000.000 სახალხო ჯანმრთელობა—10 000.000.000. სახალხო განათლება—2.635 000.000 მიწათმოქმედება—205 000 000. სასამართლოები—1.935 000.000. სოციალური უზრუნველყოფა 1.785 მილ. სხვადასხვა ხარჯები—640 მილიონი მანეთი. სულ 77.180.000.000 მანეთი.

რომლის მიზანია წითელ-არმიელებისა და ქვრივ-ობლების ოჯახებს დაეხმაროს სასოფლო-სამეურნეო მუშაობაში.

— **სახელმწიფო გამოცდები.** პროფგანათლების მთავარ მმართველობამ დაამტკიცა სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფო გამოცდების კომისიის თავმჯდომარეებათ სიბრძნის მეტყველების განყოფილებისათვის პროფ. ქ. კეკელიძე, სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო განყოფილებისათვის—პროფ. ან. რაზმაძე.

— **პროფესორის თანამდებობის აღდგენა გეოლოგიის კათედრასთან.** პროფგანათლების მთავარ მმართველობამ სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობის თანახმად აღადგინა პროფესორის თანამდებობა გეოლოგიის კათედრასთან.

— **ბავშვთა კოლექტორში.** ბავშვთა კოლექტორში 8 თვის განმავლობაში გატარებულია 883 ბავშვი, ეროვნების მიხედვით: 193 ქართველი, 233 რუსი და 425 სომეხი.

— **უმუშევართა მოძრაობა.** 21 დეკ. შრ. ბირჟაში გამოცხადდა 35 უმუშ. ახლად ჩაეწერა—32. სამუშაოზე გაიგზავნა—41. მოთხოვნილება იყო—31.

შემთხვევები.

— **სასამართლოს გაქურდვა.** 19 დეკემბერს ღამის 11 საათზე, მე-9 უბნის სახალხო სასამართლოდან მოიპარეს სხვადასხვა დამამტკიცებელი საბუთები და ნივთები. მიღებულია ზომები ბოროტმოქმედთა შესაპყრობათ.

— **თავის ჩამოღრჩობა.** 20 დეკემბერს ნაშუადღევის ორ საათზე ყოფილ სომხების სემინარიის შენობაში მცხოვრებმა მოქ. მათიკო ჩხაიძემ მავთულით თავი ჩამოიხრჩო. მიზეზი გამოურკვეველია.

— **ქურდობა.** 20 დეკ. დილის 10 საათზე გაქურდეს მოქ. ლუბა შარაშენიძის ბინა (ელისაბედის ქ. № 148), საიდანაც წაიღეს 13 ჩერვონეცის ნივთები.

— **შეპყრობა.** 19 დეკემბერს შეიპყრეს მოქ. იოსებ საყვარელიძე, რომელიც ცდილობდა ც. მ. კლუბიდან მოეპარა ელექტრონის შუშები.

— **მტაცებელი მუშტარი.** 20 დეკემბერს (იერუსალიმის ქ. № 5), გურემანის მაღაზიაში შესულა უცნობი პირი სავაჭროთ, რის დროსაც აღნიშნულ გურემანს დახლიდან მოსტაცა 47 ჩერვონეცი. მიღებულია ზომები მტაცებელის შესაპყრობათ.

ხელოვნება

„კატასტროფა“.

21 დეკემბერს წარმოადგინეს დეგრაციოს სამ მოქმედებიანი დრამა—„კატასტროფა“. თარგმანი თაზიშვილისა.

პიესა მაღაროს მუშათა ცხოვრებიდან არის აღებული და კარგათაც არის გადახლართული პირად დრამასთან.

მოხუცი გრუბერის ვაჟიშვილი მაღაროს აფეთქების დროს დაიღუპება, მის ორ ობოლ გოგონას დიდის სიყვარულით თავს ევლება გრუბერი და ზრდის ვაი-ვაგლახით. შემდეგ უფროს ქალს მარის შეიყვარებს მაღაროს მეპატრონე ლიბმანი. მარი უარჰყოფს ახალგაზრდა მუშის გეორგის სიყვარულს და გაჰყვება ლიბმანს მეუღლეთ. ჩქარა შვილიც ეყოლებათ. მოხუცი გრუბერი სასტიკის სიმაყით შეიზიზღებს მარისაც ისევე, როგორც თვით მაღაროს მეპატრონეს, რომელთანაც საერთო მხოლოდ ისა აქვს რომ ლუკმა პურისთვის ატაროს მისი აუტანელი შრომის ბეგარა.

მარიც მართალია მისთხოვდა ლიბმანს, მაგრამ მისი კეთილშობილი, მოსიყვარულე ბუნება ვერ დაივიწყებს მოამაგე პაპას და სნეულ პატარა დაიკოს. იმათი სახით იგი ესარჩლება წელში წახრილ ღარიბ-ღატაკ მშრომელებს და ზიზღსა გრძნობს მათ მჩაგვრელთადმი. სიცოცხლის ასეთი გაორება ჩქარა გამოჟღავნდება ქმრის წინაშე შეურიგებელ წინააღმდეგობათ.

ლიბმანს უნდა მომგებიანი მუშაობა განაახლოს ერთს ფათერაკით აღსავსე მაღაროში. მუშები ალღოთი გრძნობენ ამ მაღაროს უბედურობას და წინააღმდეგი არიან იქ მუშაობისა. ლიბმანი სცდილობს მოისყიდოს გავლენიანი მუშები, რომ იმათი წყალობით სხვებიც წაიყვანოს. მოხუც გრუბერსაც მრავალ სიკეთეს. გრუბერი დათანხმდება მხოლოდ ერთს, რომ პატარა სნეული ანელი წაიყვანოს საწამლავათ, მაგრამ როცა გაიგებს სამაგიეროთ, რასაც სთხოვს, აღშფოთებით უარს ეტყვის ყველაფერზე.

ლიბმანი წასაქეზებლად თვითონ ჩაჰყვება მუშებს მაღაროში.

სასოწარკვეთილ მარიში მაინც იღვიძებს მოვალეობა ქმრისადმი. უნდა შეატყობინოს აუცილებელი უბედურობა, მაგრამ გვიანღაა. კატასტროფა უკვე მოხდა. პიესაში დრამატიული ნასკვი და ფსიქოლოგიური მომენტები კარგათ ვითარდებიან თანდათანის სიძლიერით. მხოლოდ ძალიან გაჭიანურებული დიალოგები არის, თამამად შეიძლება ამ დიალოგების კარგა ბარაქიანად შემოკლება. მაშინ ხალხიც გადარჩება დაღალვას და პიესაც დარჩება უფრო ხალისი, უფრო საყურადღებო.

ამ დრამაში ბევრი კარგათ დამთავრებული როლებია და მათი შესრულებაც ერთი საუკეთესოთაგანი იყო ამ სეზონში.

პირველ რიგში უნდა დავაყენოთ მარის შემსრულებელი—ჩიხლაძე.

ორ შეურიგებელ მხარეთ გაყოფილი სიცოცხლე, იქიდან წარმოშობილი სულიერი წამება და ხსნის ვერ პოვნა დადის დახელოვნებით გადმოგვცა ჩიხლაძემ. დრამატიული კალი შეუჩერებლივ აქვსებდა მის ხმაში, სახის გარდაქმნაში და მთელ თამაშობაში. ასეთის გრძნობითა და გადაუჭარბებლათ მელოდრამატიული როლის თამაში ამტკიცებს მსახიობის ბუნებრივ ალღოს და ნიჭიერებას.

თაზიშვილი ყოვლად უნაკლულო იყო გრუბერის როლში. ამაყი, შეუპოვარი, ნაზი—სიყვარულში— და სასტიკი—ზიზღში, განსაკუთრებით თვალწინ გვედგა სრულქმნილი, დახელოვნებული მსახიობი მესამე მოქმედებაში ლიბმანთან შეხვედრის დროს.

ახალ გაზრდა მუშის გეორგის როლში კარგი იყო—კობელი. როგორც ეტყობა — დრამატიულ როლებს უფრო იფერებს იმის ბუნება, ვიდრე კომიკურებს.

სნეული და მიამიტი ბავშვის ანელის როლი ერთობ ფიქიზათ ჩაატარა—ავალიშვილმა.

არ შეგვიძლიან მწუხარებით არ აღვნიშნოთ ერთი შავი ხაზი:

ისეთი ნიჭიერი მსახიობი. როგორც ლითანიშვილი, მხარს ველარ უმშვენებდა სხვა ამხანაგებს, ლიბმანის როლში სრული უცოდინარობით ის მხოლოდ სუფლიორის წყალობით მიდიოდა იოლად. ალბათ რამე განსაკუთრებულმა მიზეზმა თუ შეუშალა ხელი.

დადგმაშიც მკაფიოდ სჩანდა დაკვირვება და სილამაზე, რაც მიეწერება ბარველის რეჟისორულ მეცადინეობას.

ლელი.

— **წარმოდგენა სან. განათლების თეატრში.** დღეს სანგანათლების თეატრში (ევანგულოვის ქ. 12) დაიდგმება დიმოვის „შხამი“. წარმოდგენა უფასოა პროფკავშირებისათვის.

— **საბავშო თეატრი.** დღეს, ყოფ მცირე თეატრის შენობაში გაიმართება საბავშო წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება „ჯადოსანი—წქეპლა“ სამ მოქმედებიანი პიესა—ზღაპარი ვასილიევისა. თარგ. ნინო ნაკაშიძის. დასაწყისი დღის პირველის ნახევარ საათზე.

— **„ინჟინერი მენნი“.** გამოვიდა ა. ბოგდანოვის ფანტასტიური რომანი ქართულ ენაზე „ინჟენერი მენნი“ თარგმანი არისტო ჭუმბაძის. გამოცემა სახ. გამომცემლობის.

— **რუსული დრამატიული სტუდია.** სახ. კომიტეტმა რუსულ დრამასთან არსებული დრამატიული სტუდია გადასცა პროლეტკულტს.

— **ლადო მესხიშვილის ძეგლი.** სახელოვნო კომიტეტმა—მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეს შეუკვეთა ლადო მესხიშვილის ძეგლის დამზადება.

— **„თეატრი და ცხოვრება“** გამოვიდა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს № 3, შემდეგი შინაარსით: მეთაური—ხიდია გასადები, ვ. გარიკი—ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“, მ. ბოჭორიშვილი—მკვლელობა, შ. ს—ლი—თეატრი და ექსპრესიონიზმი, ტრ. რამიშვილი—სიყვარულის საზღვართან, ნარკანი—ხელოვნება ჩვენში, გობრონ აგარელი—მოგონება სინათლის, გერცელ ბააზოვი—„მარადი მგზავრის“ მონოლოგიდან, მავრა ჩარდახელი—„დაისრულ ლოდინი“. კაიუს პელი—ამბორი მიწასთან, ვ. კირვალიძე—ალ. ყაზბეგი, მოგონება. კაკი ეწრელი—მე ეს მიყვარს, პ. დვანელი—„ამონაკვეთი“ ზ. ჭიჭინაძე—ტფილისის მუშების პირველი ჟურნალი „მუშა“. შ. ბ—ძე—ქართული თეატრი, სცენის მოყვარე—სახალხო თეატრი, თეატრალი — საგარეჯოს თეატრი, ბიბლიოგრაფია, ხელოვნების ქრონიკა.

დღეს თეატრებში.

— **სახელმწიფო ოპერა.** „ტოსკა“

— **რუსთველის თეატრი.** „გმირი“

— **სახალხო სახლი.** ქართული წარმოდგენა.

საჭიროა შევნიშნოთ, რომ: სახალხო ჯანმრთელობაზე დაიხარჯა 10.000.000.000 მან. გარდა იმ შემოსავლისა, რაც თვითონ საავადმყოფოებს ჰქონდათ, სახალხო განათლებას—2 735.000.000 მან. მოხმარდა წვრიმალ ხარჯებზე (საბავშვო ბაღის შენახვა, სახელმძღვანელოები), ხოლო პედაგოგიურ პერსონალს კი ცენტრი აძლევს ჯამაგირებს.

ფინანსიურათ სამაღმასკომი ძალიან შევიწროებულია; ეს ადვილი გასაგებია, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ადგილობრივი შემოსავალი, როგორც დავინახეთ, იმდენათ მცირეა, რომ მოთხოვნილებების მცირე ნაწილსაც ვერ ფარავს: ხარჯთაღრიცხვის განხილვა, დამტკიცება და მათი საფუძველზე დოტაციის მოცემა ცენტრიდან ვერ არის ჯერჯერობით სასურველათ დაყენებული. ასეთ პირობებში მუშაობა დიდს ენერგიას მოითხოვს, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ახლო მომავალში მაზრა გაჯანსაღდება და მის მოზღვავებულ მოთხოვნილებებს სათანადო გასაქანი მიეცემა.

სასურსათო დარგში.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სასურსათო კომიტეტის მუშაობა და დანიშნულება შემდეგში გამოიხატება: 1) ნატურა გადასახადის გაწერა და კრეფა, 2) მუშა-მოსამსახურეთა ულუფით დაკმაყოფილება, 3) სასოფლო სამეურნეო გადასახადის გატარება. 1922 წ. ნატურგადასახადის გაწერა და აკრეფა სასურველად ჩატარდა. გადასახადისგან სრულებით განთავისუფლებული იყო 40 პროც. ღარიბ გლეხობისა, ხოლო გადამხდელთა დახარჩენმა ნაწილმა სრულებით შემოიტანა მათზე შეწერილი გადასახადი. მთელი შემოსავალი შეადგენდა 14 800 ფუთს, საიდგანაც 15 პროც. გადაეცა სამაღმასკომს, როგორც მისთვის კანონით მიკუთვნილი ანარიცხი 5 პროც. თემაღმასკომებს გასამრჯელოთ, 5 პროც. დასჭირდა საორგანიზაციო ხარჯებს, 2000 ფუთი გადაეცა ცენტრის განკარგულებით დამშკომს 6850 ფუთი (ცენტრის განკარგულებით) გაეცა მუშა-მოსამსახურეებზე ულუფად და დარჩა 2500 ფუთი, რაც საწყობებში ინახება.

ამ ჟამად სასურსათო კომიტეტი გაუქმებულია და მისი საწყობების ლიკვიდაცია ხდება. დარჩა რწმუნებული, რომელმაც უნდა ჩაატაროს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აწპანია. წინასწარი მუშაობა ამ კამპანიის ჩასატარებლათ შეგვიძლია ნაწილობრივ დამთავრებულად ჩავთვალოთ; გადამხდელთა სიები დამზადებულია და ახლო მომავალში ხარჯის ფურცლების დამზადება და დარიგება დაიწყება, რასაც მოჰყვება თვით გადასახადის აკრეფაც.

მიწათმოქმედების განყოფილება.

მიწის რეფორმის გატარება რაჭის მაზრაში დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, რადგანაც ასეთ მიწა-ნაკლებ კუთხეში გლეხი ერთ მტკაველ მიწასაც დიდად აფასებს.

რეფორმა სასწრაფოდ იყო გატარებული თემაღმასკომების და სოფლების წარმომადგენელთა დახმარებით; ჩამორთმეულია სულ 354 დეს., რაც დაურიგდა ღარიბებს გლეხებს; მიწის მოწყობა მაზრაში, სამწუხაროდ, ნელა მიდის, რადგან ჩვენ გვყავს მხოლოდ ერთი მიწისმზომელი ცენტრმა ვერ დააკმაყოფილა ჩვენი თხოვნა სამი მიწისმზომლის გამოგზავნის შესახებ.

მიწათმოწყობა საბოლოოდ მოწესრიგებულია ამბროლაურის და წესის თემში.

აგრონომიული დახმარება მაზრაში ახლა იდგამს ფეხს.

ამბროლაურში გაშენებულია ამერიკული სადედე, სადაც დარგულია 1200 ლერწი; იქვეა დარგული თუთის სანერგე მეაბრეშუმეობის გავრცელების მიზნით. გაშენებულია იქვე ხეხილის ბაღი; მოწყობილია საჩვენებელი ბოსტნები ამბროლაურში, წინეთში და კორუხში; განსაკუთრებით უნდა ავღნიშნოთ, რომ მომზადებულია ამბროლაურში ნიადაგი სამეურნეო სასწავლებლის გახსნისთვის, თუ ცენტრმა საკმაო დახმარება აღმოგვიჩინა და ეს სასწავლებელი გაიხსნა, მაშინ თამამად ვიტყვით, რომ მაზრის მეურნეობა სასურველ კალაპოტში ჩადგება.

სხვათა შორის უნდა შევნიშნოთ, რომ აგრონომიულმა ქვეგანყოფილებამ მოაწყო შაბიამანის დარიგება, რასაც მაზრისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

საბეითლო ქვეგანყოფილების მუშაობის შესახებ შევნიშნავ მხოლოდ, რომ გადამდები სენის წინააღმდეგ ბრძოლა წესიერათ სწარმოებდა, რამდენათაც ამას ხელს უწყობდა წამლების რაოდენობა და კერძოთ ასაცრელი შრატის მოწოდება. გასინჯულია 15957 სული საქონელი, ხოლო თურქულით ავადმყოფი 12414 პირუტყვი; ციმბირის ჭირი ჰქონდა აცრილი 1596 საქონელს.

წარმოდგენა უდინების სასარგებლოდ

ხვალ, 24 დეკემბერს, სანიტარულ განათლების სახლის თეატრში, ა. ს. ბურჯალოვის რეჟისორობით და ავტორის მონაწილეობით დადგმულ იქნება ჯანმრთელობის კომისარიატის დავალებით ნ. ა. დიმოვის მიერ ახლად დაწერილი პიესა „შხამი“. პიესის წმინდა შემოსავალი მოხმარდება საქართველოში ახლად გადმოსახლებულ ქართველ უდინებს. უკანასკნელნი ამჟამად უკიდურეს მძიმე მატერიალურ და ყოფაცხოვრების პირობებში იმყოფებიან.

სამწუხარო და ტრაგიზმით აღსავსეა ქართველ უდინთა საქართველოში გადმოსახლების ისტორია. საბჭოთა ხელისუფლების დროს აღსრულდა მათი დიდი ხნის ნატვრა-მისწრაფება—შეუერთდენ თავის მოძმე მშრომელ საქართველოს. საბჭოთა მთავრობამ მიანიჭა მათ საცხოვრებელი ადგილი კახეთის ერთ-ერთ უმშვენიერეს და ბუნებით დაჯილდოებულ კუთხეში—მდინარე ალაზნის გაღმა, უდაბურ ტყის პირას. თავისი საუკუნოებრივი ოცნების განხორციელებით გახარებულნი, შრომის მოყვარულნი, მეურნეობის ისეთი ძვირფასი და იშვიათი დარგების, როგორიც არის ბრინჯის მოყვანა, მეაბრეშუმეობა, მევენახეობა და სხვა კულტურულ მცენარეების მოშენების ხელმიწევნით მცოდნე უდინები რიცხვით 350 (ორივე სქესის და ყველა ასაკის) გაასკეცებულ ენერგიით შეუდგენ მოწყობა-დასახლებას თავის ახალ სამშობლოში. მთელი ზაფხული ქოხების შენებაში და უსაჭიროეს საგნების კეთებაში წავიდა. მასალას იქვე ტყე იძლეოდა. მაგრამ მოაწია ზამთარმა. კალონისტები, განსაკუთრებით ბავშვები, ფეხშიშველნი, ტანშიშველნი და ყოველივე საზამთრო საკვების მარაგს მოკლებულნი ხვდებიან ზამთრის სუსხს. ეს კი ემუქრება მათ ყოველივე დაავადებით და ეპიდემიით, რასაც მათი სრული განადგურება შეიძლება მოყვეს.

გაითვალისწინა რა ასეთი შესაძლებლობა, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტა თავის მხრივ მიიღოს ყოველივე ზომები მშრომელ უდინების ასეთი საფრთხისაგან დასაცავად. ამ მიზნით მან დაადგინა: მედიკამენტების შეწირვის გარდა, დადგას სანიტარულ განათლების სახლის ახლად გახსნილ თეატრში ახალი პიესა, რომლის ბილეთების მეტი ნაწილი დარიგდება პირადათ.

იმედია, საბჭოთა საქართველოს დედა-ქალაქის მშრომელთა მასსა და მთელი საზოგადოება ყურადღებით მიეპყრობა დასახულ სიმპატიურ მიზანს, გაიხსენებს ზამთრის სიცივეებს და ქართველ უდინთა ბავშვების სიშიშვლე-სიტიტვლეს და ყველა ბილეთების შეძენით. ხელს შეუწყობს მუშურ გლეხურ მთავრობას მოძმე მშრომელ უდინების დახმარების აღმოჩენის საქმეში.

ნაზარეტიანი.

წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგს:

გაზეთ „მუშა“-ს 13 სექტემბრის №-ში მოთავსებული იყო კორესპონდენცია სათაურით „გვინდა ვიცოდეთ“, კორესპოდენტ „ალ—მი“-სა, რომელიც ჩირქსა სცხებს ჩვენს წარმომადგენელს მ. ჩიგოგიძეს. ამხ. ჩიგოგიძემ სათანადო პასუხი გასცა იმავე გაზეთის საშუალებით № 287 1 ნოემბერს და გამოიწვია „ალ—მი“ სამედიატორო სასამართლოში ცილისწამებისთვის. „ალ—მი“ სასამართლოში არ გამოყვა.

ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერნი, შრომის ქუჩაზე მცხოვრებნი კატეგორიულად მოვითხოვთ გაზეთ „მუშა“-ს რედაქციისაგან აიძულოს მოქალაქე „ალ—მი“ გამოყვეს ჩიგოგიძეს სასამართლოში. საფუძველი ჩვენი მოთხოვნილებისა არის ის, რომ უბანში ბევრი რამ კიდევ არის გასაკეთებელი საზოგადო საქმე და ხსენებული კორესპონდენციის შემდეგ აღარავინ კისრულობს სათავეში ჩაუდგეს რომელიმე საქმეს, ვინაიდან უპასუხისმგებლო პირებისგან უსაფუძვლოთ ილანძღებიან. ასეთ მდგომარეობაში მოხვდა ამხ. ჩიგოგიძე, რომელიც დამსახურებული პიროვნებაა და მის შესახებ ცნობები საზოგადოებას შეუძლია იხილოს გაზეთებში „Рабочая Правда“-ში და „მუშა“-ში.

შრომის ქუჩაზე მცხოვრებნი: (ხელს აწერს ოცდა ოთხი კაცი).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

ს. კ. პ. ტფ. ორგან. მეორე რაიკომი წინადადებას აძლევს პარტიის იმ წევრებს, რომელთაც არ აქვთ ერთიანი პარტბილეთი და მეორე რაიონის ყველა კანდიდატებს, რომელთაც საკანდიდატო ბარათი არ მოეპოვებათ, გამოცხადდენ და გატარდენ რეგისტრაციაში სამ დღეში, 23, 25 და 26 ამა დეკემბრის დილის 10 საათიდან ნაშუადღევის სამ საათამდე და საღამოს 5 საათ. 7 საათამდე.

ვინც სარეგისტრაციოდ არ გამოცხადდება, პარტბილეთს ვერ მიიღებს.

მდივანი ნაზარიძე.

პროფესიული

განათლების მუშაკთა სახლში.

— ორშაბათს 24 დეკემბერს საღ. 8 საათზე განათლების მუშაკთა სახლში ამხ. მაკალატიას მოხსენება, თემა: „ქართველთა სარწმუნოებრივი განცდანი ახალ ზნე-ჩვეულებებში“.

სახლის გამგე შიუკაშვილი.

განცხადებები

ღრმათ დამწუხრებული შვილები: არტემ, სიმონ, რახილო, მართა, ძაბუნე და მარო კალანდაძეები და ფუნდუ ჩიხლაძე შვილებით რძალი ქსენია დუჩავას ასული, სიძეები: ვასო ჩოხელაშვილი და ნოე რამიშვილი შვილებით; შვილის-შვილი ილიკო კოპალაძე აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს გარდაცვალებას (ძვირფასი)

ალექსი დავითის ძე

კალანდაძის

რომლის დასაფლავება მოხდება სამშაბათს, 25 დეკემბერს დაბა ხიდისთავში.. № 311 1—1

ღრმად დამწუხრებულნი მამა და დედა მელიტონ ბიჭიაშვილი, და თამარა ალექსანდრეს ასული გურგენიძე, ბიძეები: ალექსანდრე, სიმონი, იოსები და ვასო, ბაბუა—ბიჭია იოსების ძე გურგენიძე აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 20 დეკემბერს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი

აბესალომ მელიტონის ძე

გურგენიძე

გამოსვენება 23 დეკემბერს დილის 11 საათზე ვარანცოვის ქუჩიდან № 88. დასაფლავება მოხდება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

308—1—1

რუსთველის

თეატრი

ქართ. აკად. დრამა

დღეს, 23 დეკემბერს

გ მ ი რ ი

ნის. 794—2—2

სახელმწიფო

ოპერა

დღეს, 23 დეკემბერს

ტ ო ს კ ა

სამშაბათს, 25 დეკემბერს

დ ა ი ს ი

ნის. 795—4—3

შ. ს. ს. კომისარიატი

იწვევს სტენოგრაფისტებს,

(ქართულსა და რუსულ ჯგუფებს) ს. ს. ს. რ. საბჭოთა მეორე ყრილობის ანგარიშების ჩასაწერათ. მუშაობის პირობების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება შ. ს. სახ. კომისარიატის საქმეთა მმართველთან ყოველ დღე 12-დან 2 საათამდე.

სრ. რუსეთის საფეიქრო სინდიკატის ტფილისის განყოფილება

სომხების ბაზარი № 6.

განყოფილებას აქვს ყოველგვარ ქსოვილთა დიდი მარაგი.

სააგენტოს და განყოფილებას შეუწყვეტლად მოსდის საქონელი ცენტრიდან განყოფილებასა და სააგენტოებში შინა ვაჭრობის კომიტეტის 1923 წლის 15 დეკემბრის დადგენილების თანახმად ვაჭრობა სწარმოებს დაკლებულ ფასების მიხედვით.

წვრიმალი სავაჭრო მაღაზია, სადაც შინა-ვაჭრობის კომიტეტის დასტურით ვაჭრობა დაკლებული ფასების მიხედვით სწარმოებს, იმყოფება სომხების ბაზარზე № 6.

განყოფილებას სააგენტოები აქვს შემდეგ ქალაქებში: ერევანში, ქუთაისსა და ბათომში.

ეძლევა ცნობა კოოპერატივებს და სახელმწიფო ორგანოებს, რომ სინდიკატის განყოფილებას და აგრეთვე მის სააგენტოებს მოეპოვება დიდი ძალი არჩეული ქსოვილი: ბამბეული, შალეული, აბრეშუმეული, სელის ფართალი და სხვა.

იყიდება აგრეთვე ტრიკოტაჟები (ფუფაიკები, წინდები) (ცხვირსახოცები, თავსაფრები, მანდილები, ქაკეტები, ქალის კოსტიუმები (აბრეშუმისა) საბნები, თეთრეული სუფრისათვის, კოჭა ძაფები, ხართვი, ბრეზენტისა და ტომრის ქსოვილი და გზა ტომრები.

სახელმწიფო ორგანოებს და კოოპერატივებისათვის

განსაკუთრებული შეღავათიანი პირობებია.

ტფილისის განყოფილების

გამგე: ა. ფ. როჟდესტვენსკი.

ნ. 803—1—1

საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატი

ამით აცხადებს, რომ კვირას, 30 დეკემბერს, დილის 11 საათზე დანიშნულია

საჯარო სიტყვიერი შეჯიბრება

კომისარიატის საბავშვო დაწესებულებათათვის ტფილისში და კოჯორში 1924 წლ. 1 იანვრიდან 1925 წლ. 1 იანვრამდე პურის გამოცხობაზე, ხორცის და მწვანეულობის მოწოდებაზე. შეჯიბრება საჯაროა და მოხდება სახალხო კომისარიატის შენობაში ლორის-მელიქოვის ქ. № 5, ოთახი № 25. წინასწარ პირობების გაგება შეიძლება განმანაწილებელ განყოფილებაში, ოთახი № 25, ყოველ დღე დილის 12 საათიდან 3 საათამდე.

312—2—1 განათლების კომისარიატი.

ახალი ფასდაკლებული პრეის-კურანტი

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ტფილისის ღვინის სარდაფის ღვინოებისა

ამა წლის 21 დეკემბრიდან.

1

	ჩერვ. კაპ.
ნაფარეული №№ 66 და 47 აქციზით .	45
წინანდალი №№ 64 და 45 ,,	60
მუკუზანი №№ 65 და 46 ,,	45
თელიანი № 48 ,,	1—40
აფხანაური № 55 და 75 ,,	30
სუფრის №№ 22 და 18	30
ღვინოები 1917 წ. და უფრო ძველი	2—00
2	
შამპანიური 2 და აქციზი 1 მ. 35 კ.	3—35
კონიაკი იმერული 1-60 და აქციზი 35 კ.	1—95
ცარიელი ყუთი შეფუთვით	2—30
ჭურჭელი მინისა ღვინოების და კონიაკის	0—15
,, ,, შამპანიურის	0—20

იყიდება მთლიან მუშათა კოოპერატივის ყველა მაღაზიებში.

ნის. 791 2—2

საჯარო ვაჭრობა

ს. ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახ. კომ. იწვევს [illegible] მონაწი ლეობა მიიღონ წერილობით საჯარო შეჯიბრებაში, რომელიც და ნიშნულია 1924 წლის 4 იანვრისათვის შუადღის 12 საათზე ჯა სახალ. კომის. საფინანსო-სამეურნეო განყოფილების შენობაში (საპიორის ქ. № 30). შეჯიბრებაში მონაწილეთ ევალებათ ჯან. სახ. კ-ტის ს ავადმყოფოსთვის კარგად ნაკვები ძროხის ხორცის მიწოდება 13— ფუთი ყოველდღიურად 4 თვის განმავლობაში 1924 წლის 4 იანვრიდან ამა წლის 4 მაისამდე. განცხადებები შეტანილ უნდა იქნას დაბეჭდილი კონვერტებით ჯანმრთ. სახ. კომ. საფინ. სამეურეო განყოფილებაში. განცხადებებში აღ ნიშნული უნდა იქნეს ფუთი ხორცის ფასი ჩერვონეცის მანეთებით და თან უნდა ახლდეს ქვითარი ხაზინაში შეტანილ საწინდარისა, რომლის რაოდენობა უნდა უდრიდეს პირობაში აღნიშნულ თანხის 10 პროცენტს ან ნოტარიუსის მო წმობა დაწინდრებულ ქონების შესახებ. სავაჭრო შეჯიბრების დროს ჯან. სახ. კომ. იხელმძღვანელებს არა მარტო პირობაში აღნიშნულ ფასებით, არამედ სხვა მოსაზრებითაც, რომელიც უფრო ხელსაყრელი გახდება ჯან. სახ. კომისარ ინტერესებისათვის. ამას გარდა ჯან. სახ. კომ. იტოვებს უფლებას 4 იანვ პირველ საათზე მოახდინოს ზეპირი შეჯიბრებაც. დაწვრილებითი პირობებ შეტყობა შეიძლება ყოველ დღიურად ჯან. სახ. კომ. საფინანსო-სამეურნეო გან ყოფილებაში დღის პირველ საათიდან 3 საათამდე. 3—

სრულიად საქართველოს ცენტრალური კოოპერატიულ კავშირის

რწმუნებულთა მე-4-ე მორიგი ყრილობა.

დღის წესრიგი:

1. კოოპერაცია და საერთაშორისო მდგომარეობა.
2. 1922 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება სარე კომისიის დასკვნით.
3. გამგეობის საინფორმაციო მოხსენება 1923 წ. მუშაობის შე
4. 1923 წ. ხარჯთ აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
5. სარევიზიო კომისიის მოხსენება გამგეობის მოქმედები ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ.
6. მომავალი წლის მოქმედების გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა.
7. მოხსენება ცეკავშირის წესდების შესწორების შესახებ.
8. საორგანიზაციო საკითხები.
9. არჩევნები გამგეობის, საბჭოსი და სარევიზიო კომისიისა.
10. მიმდინარე საქმეები.

გამგეობა.

799—2—2

ს. ს. რ. საქართველოს მიწათმოქ მედების სახალხო კომისარიატი

აცხადებს, რომ 27 დეკემბერს დღის 12 საათზე მიწათმოქმე დების და საძოვართა განყოფილებაში (სასამართლოს ქუჩა, 32

დანიშნულია განმეორებით

საჯარო ვაჭრობა

თევზის დაჭერის უფლების საიჯაროთ გაცემაზე მდებარე ტფი ლისის და ბორჩალოს მაზრებში მტკვრის, ხრამის, და დებ დაჩაის მდინარეებში, ვადით 1924 წ. იანვრის 1-დან 192

იანვრის 1-ლამდე.

სათევზაო ადგილების იჯარით გაცემის შესახებ დაწვრ ბითი ცნობების განხილვა შეიძლება ყოველდღე, გარ კვირა-უქმისა, ზემოაღნიშნულ განყოფილებაში დღის 1

3 საათამდე

1—1 № 266

პროფესორი გ. მუხაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

პლეხანოვის პრ. № 58. 278—12—

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

[illegible]

მიხეილ ბედევანიშვილის [illegible]

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკური მეთოდ ქიმიობას საჭიროებენ.

სამკურნალო ხელმძღვანელობს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძ ნელობით. ტფილისი, [illegible] ქ. № 20. (126—25—

ექიმი

პ. გ. ვართანოვი

სიფილისი, კანისა და ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფებს ღე ლობს დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: სურამის ქ. № 9. ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზ სამმართველოს მახლობლად. 303—25—2

ქ. ტფილისის მე-4 და მე-5 უბნის სახალხო სასამართლ

აღმასრულებელი, სვიატოდუხოვი, ამით აცხადებს, რომ 4 იანვარს 19 წელს დღის 12 საათზედ საიათოვის შესახვევში, სახლში № 5, მას და შნული აქვს გასასყიდათ,

საჯარო ვაჭრობით

მოძრავი ქონება მოქალაქე ალიშ-აღა შირინ ოღლი იბრაგიმოვისა, რო ლიც შესდგება ხილეულობიდგან და სხვა ავეჯეულობიდგან,—მოქალა ნანა ხანუმა მამედა კიზის ვალის დასაკმაყოფილებლათ, აღმასრულებე ფურცლის ძალით ქ. ტფილისის მე-5 უბნის სახალხო სასამართლოსი ნოემბრის 1923 წ. № 1109, თანხით ასი ჩერვონეცისა (100 ჩერვ.). წა წერილია: „ფურცლისა“ ირწმუნეთ.

307—1—1 სასამართლოს აღმასრულებელი ლ. სვიატოდუხოვ.

ქ. ტფილისის მე-6 და მე-7 უბნ. სასამართლოს აღმასრულებელი

ქ. ძამოევი ამით აცხადებს, რომ 27 ოქტომბერს 1923 წ., დილის 11 ს ათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

მოქალაქის სედრაკ ყაზარის ძის არუთინოვის უძრავ ქონებაზე, რომელი მდგომარეობს ქალაქ ტფილისის მეექვსე უბანში ქალაქის ტაბელები 390, 391, 392, 384, 385 და 389 ყოველივე ზედ-დგმული შენობებით დ საკმაყოფილებლათ ალექსანდრე ლუარსაბის ძის მაჭავარიანისა, თანახმა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს დადგენილებისა 1923 ნოემბრის 14 დღესა და რომელიც აღნიშნულია აღმასრულებელ ფურცელ ში № 5092, რომლითაც ალექსანდრე მაჭავარიანს მისჯილი აქვს 264 ჩერ ვონეცი მამული ეს შეფასებულია 40 ჩერვონცათ. საჯარო ვაჭრობაში მონაწილენი არიან ვალდებულნი წარმოადგინონ ერთი მეათედი შეფას ბულ ჯამისა და აგრეთვე მოწმობა ტფილისის აღმასკომის კომუნალურ განყოფილებიდან, რომ მყიდველს, არა აქვს უძრავი ქონება. ვაჭრობა მოხ დება ალავერდის ქუჩაზე, სადაც იმყოფება ზემოაღნიშნული უძრავი ქონებ ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის ცხრა საათიდან 11 სა თამდე სასამართლოს აღმასრულებელთან სუპ. კარაპეტის ქ. № 3.

309—1—1

ს ა ხ ლ ი

თავისუფალი ბინებით საჩქაროდ და იაფად იყიდება. ვისაც სურ იყიდოს და გაყიდოს უნდა მიმართოს მამა-დავითის ქუჩაზე № 3, ბინა 2 დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

1—1 № 310

დაკარგა პირადობის მოწმობა ვარვარა ივანეს ასული ქუთათე ლაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად 1—1

„ზარია ვოსტოკა“ სტამბა, სამი [illegible] ქუჩა, № 4.